პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 248 (12456) | შაბათი, 20 ოქტომბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

# კომუნიზმის მშენებელთა შთამაგონებელი მაგალითი

ПРАВДА

19 ოქტომბრის მოწინავე

„ჩვენი საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა მტკიცედ იდგება როგორც ჩირაღდანი საერთაშორისო კომუნიზმისა და მაგალითი მთელი მშრომელი მასებისათვის“—ასე ამბობდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე, პირველ თვეებში დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ. რა განსაკუთრებული დამაჯერებლობით, რა აქტუალურად გაისმის ეს სიტყვები დღეს, როცა ჩვენი სახელოვანი სამშობლო აღსავსეა შემოქმედებითი ძალებით, როცა ჩვენი ხალხი გმირული შრომით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის გაშლილ პროგრამას!

მხოლოდ ოთხნახევარი ათწლეული გავიდა იმ ღირსსახსოვარი დღეების შემდეგ, როცა რუსეთის პროლეტარიატმა თავის სამშობლოში აღმართა სოციალიზმის ძლევამოსილი დროშა. მსოფლიო ისტორიის მასშტაბით ეს დროის მეტად მცირე მონაკვეთია. მაგრამ თანამედროვეობის მძლავრმა რევოლუციურმა ძალებმა ამ მოკლე ვადაში, გადაჭრით შეცვალეს მსოფლიოს სახე. დიდმა ოქტომბერმა კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — კაპიტალიზმის მსხვრევისა და კომუნიზმის დამკვიდრების ერა. დაისახა მთავარი მაგისტრალი, რომლითაც კაცობრიობა მიდის წინ. ეს მაგისტრალი სოციალიზმია.

დღეს სოციალიზმის წითელი დროშები, დიდი ოქტომბრის დროშები ამაყად ფრიალებს ბევრ ქვეყანაში. მილიარდზე მეტი ადამიანი — კაცობრიობის მესამედზე მეტი — მტკიცედ მიდის ამ დროშით ახალი, ბედნიერი ცხოვრების გზით. შეიქმნა და ვითარდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა. და ამ დღეებში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45 წლისთავის წინ, საბჭოთა ადამიანებთან ერთად ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტის მილიონობით მშრომელი აცხადებს:

— გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ სისტემას — საერთაშორისო მუშათა კლასის ქმნილებას, სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით მიმავალ თავისუფალ, სუვერენულ ხალხთა მძლავრ თანამეგობრობას!

მეგობარი ხალხები, მოძმე ხალხები, რომლებმაც შექმნეს მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობა, გაერთიანებული არიან მძლავრ განუყრელ ოჯახად მიზნებისა და ინტერესების ერთობით, საერთაშორისო სოციალისტური სოლიდარობის მჭიდრო კავშირით. მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევი პრინციპების ერთგული საბჭოთა ხალხი სახელოვანი წლისთავის წინ მხურვალედ მიესალმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა მოძმე ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ. საბჭოთა ადამიანები სულით და გულით მიესალმებიან კუბის გმირ ხალხს, რომელიც დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას. ისინი ძმურად მიესალმებიან იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს.

საბჭოთა ქვეყანა ოქტომბრის ბრძოლების ქარ-ცეცხლში იშვა, როგორც სახელმწიფო დემოკრატიის და პროგრესისა. საბჭოთა ხალხის სიმპათიები იმათ მხარეზეა, ვინც თავდადებით იბრძვის იმპერიალიზმის კოლონიური ბორკილების წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. დიდი ოქტომბრის სამშობლო მხურვალედ მიესალმება იემენის არაბთა რესპუბლიკის მამაც ხალხს, არაბთა ქვეყნებისა და აფრიკის თავისუფალი სახელმწიფოების ხალხებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისა და თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. დედამიწის ყველა პროგრესულ ადამიანთან ერთად საბჭოთა ხალხი მოითხოვს — თავისუფლება რეაქციის მსხვერპლთ, კაპიტალის ტყვეებს!

საბჭოთა კავშირი მთელი 45 წლის მანძილზე გამოდის როგორც მშვიდობის მტკიცე დამცველი, ყველა ქვეყანასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის მხურვალე მომხრე, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა. საოქტომბრო მოწოდებებში გამოიხატა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მტკიცე მისწრაფება მშვიდობისა და პროგრესისადმი. საბჭოთა ხალხი კვლავაც განამტკიცებს მეგობრობას, განავითარებს თანამშრომლობას ევროპის, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან. საბჭოთა ადამიანებს სურთ, რომ მტკიცე მშვიდობის ინტერესებისათვის ვითარდებოდეს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა. საბჭოთა ქვეყნის მშვიდობისმოყვარულ კურსს მხარს უჭერს ყველა კეთილი ნების ადამიანი.

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას!

მშვიდობის საგუშაგოზე მტკიცედ დგანან საბჭოთა კავშირი და მსოფლიო სოციალისტური სისტემის სხვა ქვეყნები. ჩვენს დროში მშვიდობისმოყვარულ ძალებს მოეპოვებათ სერიოზული საშუალებანი, რათა ხელი შეუშალონ იმას, რომ იმპერიალისტებმა მსოფლიო ომი გააჩაღონ. მაგრამ უწინარეს ყოვლისა თვითონ ხალხებზე, მათს სიმტკიცესა და აქტიურ მოქმედებაზეა დამოკიდებული, მშვიდობა იქნება ქვეყნად თუ კაცობრიობას თავს დაატყდება ახალი მსოფლიო ომის კატასტროფა. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ძალას წარმოადგენს მისი მასობრიობა, ორგანიზებულობა და გადამწყვეტი მოქმედება მშვიდობის დასაცავად, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკების წინააღმდეგ.

მშვიდობისათვის ბრძოლაში ხალხები გადამწყვეტი ძალა არიან. ხალხებს, მათს გულსა და გონებას, მათს ნებასა და ენერგიას მიმართავს მოწოდება — მტკიცედ იბრძოლონ კოლონიური მონობის სამარცხვინო სისტემის სრული და საბოლოო ლიკვიდაციისათვის, გადაჭრით იბრძოლონ საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, მოითხოვონ გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება და დასავლეთი ბერლინის თავისუფალ დემილიტარიზებულ ქალაქად გადაქცევა. მხოლოდ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ერთიან მოქმედებას მოჰყვება წარმატება.

— ყველა ქვეყნის ხალხებო! ფხიზლად იყავით, ამხილეთ ომის იმპერიალისტი გამჩაღებელნი! უფრო აქტიურად იბრძოლეთ მტკიცე და ურღვევი მშვიდობის უზრუნველსაყოფად!

კომუნიზმი ამკვიდრებს დედამიწაზე მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, ყველა ხალხის თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას. საბჭოთა კავშირი, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ყველა ქვეყანა, რომლებიც უძლეველი ლენინური დროშით მიდიან წინ დიდი ოქტომბრის გზით, უჩვენებენ მთელი დედამიწის ხალხებს კაცობრიობის ამ წმიდათა წმიდა იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლის მაგალითს. სოციალიზმის ქვეყნები საერთაშორისო განვითარებაზე მთავარ ზემოქმედებას ახდენენ სამეურნეო წარმატებებით. თავიანთი მაგალითის ძალით იზიდავენ ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ ახალ ასეულ მილიონობით მშრომელ ადამიანს.

მარქსიზმ-ლენინიზმი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი დროშა — მთელი მსოფლიოს მშრომელთა მძლავრი იდეური იარაღი გახდა დღეს მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. მსოფლიოს გარდამქმნელი და განმაახლებელი შემოქმედებითი ძალების პირველ რიგებში დგას კომუნისტების დიადი არმია. თითქმის 90 ქვეყანაში არის დღეს კომუნისტური და მუშათა პარტიები. ისინი თავიანთ რიგებში აერთიანებენ დაახლოებით 22 მილიონ კაცს მშრომელთა ინტერესებისათვის ყველაზე მტკიცე, ყველაზე მამაც, ყვე-

[illegible]

# საოქტომბრო საჩუქრები



ღირსეული შეხვედრა დიდი ოქტომბრის 45 წლისთავს

[illegible]

## უპატაკებენ სამშობლოს

[illegible] ...ნობის კომბინატის მოლითის კირის წარმოებამ შვიდწლედის მეოთხე წლის დავალება 15 ოქტომბრისათვის შესრულა. გეგმით გათვალისწინებული 3 ათასი ტონის ნაცვ-

[illegible] ...ლეს ჩაის ფოთლის კრეფის ნაკისრი ვალდებულება. მოკრეფილია 26 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი.

შესრულებულია აგრეთვე სახელმწიფოსათვის დაფნის ფოთლის მიყიდვის გეგმა. დამზადებულია 118 ტონა დაფნის ფოთოლი. (საქდესი).

# ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო დელეგაცია

19 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო საბჭოთა კავშირში მყოფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო დელეგაცია ეროვნული თავდაცვის მინისტრის, არმიის გენერალ გ. გოფმანის მეთაურობით.

შეხვედრის დროს ნ. ს. ხრუშჩოვსა და დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი. საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა რ. ი. მალინოვსკიმ და ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკმა ნ. პ. დაგაევმა. (საქდესი).

# ახალი ქარხანა

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. (საქდესი). საექსპლოატაციოდ გადაეცა „დიდი ქიმიის“ უდიდესი საწარმოს — ჩერკასის ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის პირველი რიგი. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულმხურვალედ მიულოცეს ეს შრომითი გამარჯვება ჩერკასის სახალხო მეურნეობის საბჭოს „ქიმმშენის“ ტრესტის, უკრაინის სსრ მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს სამონტაჟო და სპეციალიზებულ ორგანიზაციათა და ჩერკასის ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ რწმენა გამოთქვეს, რომ მშენებლები კიდევ უფრო დააჩქარებენ საწარმოს მეორე რიგის სამუშაოებს.

ჩერკასის ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობა მაღალ ტექნიკურ დონეზე წარმოებდა. იყენებდნენ რა სამუშაოთა მოწინავე ინდუსტრიულ მეთოდებს, მშენებლებმა და მემონტაჟეებმა შეასრულეს ორ მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მიწის სამუშაო, ჩაასხეს და დაამონტაჟეს 65 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და სხვ.

ქარხნის კოლექტივმა გამოუშვა პირველი ათასობით ტონა ხელოვნური აბრეშუმი.

## სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. (საქდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება გაიხსნა დღეს მეცნიერთა სახლში. იგი მიძღვნილია კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების ამოცანებისადმი.

კრება გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა.

მოხსენება „კომუნიზმის მშენებლობა და საზოგადოებრივი მეცნიერებანი“ გააკეთა აკადემიკოსმა ლ. თ. ილიჩოვმა.

კრება ორ დღეს გაგრძელდება.

## სამშობლოს ბეღლებში

მარის ასსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიულოცეს მათ მოპოვებული შედეგები და უსურვეს ახალი წარმატებანი რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებს.

მარის ასსრ მხვნელ-მთესველებმა ჩვენი სამშობლოს ბეღლებში შეინახეს 3,4 მილიონი ფუთი მარცვალი — 337 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. (საქდესი).

# საგარეჯოელ მევენახეთა წარმატება

190.000 ტონა ყურძნისათვის!

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმებამ გურჯაანის, ყვარლის, სიღნაღისა და წითელწყაროს მევენახეებისა და ყველა მშრომელისადმი დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია საგარეჯოს რაიონის მევენახეებში. მოპოვებულ იქნა ახალი წარმატება. საგარეჯოელმა მევენახეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 6.614 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.125 ტონისა.

საგარეჯოელები ამ წარმატებას მიუძღვნიან დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავის დღესასწაულს და ვალდებულებას კისრულობენ სახელმწიფოს კიდევ მიჰყიდონ 500 ტონა ყურძენი.

აი ისინიც, რომლებმაც თავი ისახელეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვაში. ნინოწმინდის კოლმეურნეობის წევრმა თამარ ქოქიაურმა სახელმწიფოს მიჰყიდა 2.790 კილოგრამი ყურძენი და მიიღო 1.411 მანეთი, გიორგიწმინდის კოლმეურნეობის წევრმა რ. გუგუტიშვილმა სახელმწიფოს მიჰყიდა 3.956 კილოგრამი ყურძენი. მას ერგო 1.843 მანეთი.

მანავის საბჭოთა მეურნეობის მუშამ რომან სირბილაშვილმა საკარმიდამო ნაკვეთზე მოკრიფა 2.470 კილოგრამი ყურძენი და სახელმწიფოს მიჰყიდა. მუშამ, შოთა ჯავახიშვილმა სახელმწიფოსათვის მიყიდულ 2.500 კილოგრამ ყურძენში მიიღო 1.225 მანეთი, მუშამ გიორგი პასიკაშვილმა სახელმწიფოს მიჰყიდა 2.800 კილოგრამი ყურძენი, ფული ერგო 1.394 მანეთი. იორმუღანლოს საბჭოთა მეურნეობის მუშამ გული მამედოღლიმ სახელმწიფოს მიჰყიდა 6.192 კილოგრამი ყურძენი და მიიღო 2.781 მანეთი.

## სიტყვა საქმედ აქციეს

მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის წლიური გეგმა. ნაცვლად 2.780 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.850 ტონა ყურძენი. მათ ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს დამატებით მიჰყიდონ 400 ტონა ყურძენი.

გ. ხუტაშვილი,
სოფლკორი.

## ვინც თავი ისახელა

ზესტაფონი. ქვედასაზანოელ მევენახეთა თაოსნობას — სახელმწიფოს მიჰყიდონ ყურძნის მოსავლის დიდი ნაწილი, მხურვალედ უჭერენ მხარს რაიონის ყველა კოლმეურნეობაში.

ცხრაწყაროელმა კოლმეურნემ ა. ბარბაქაძემ სახელმწიფოს მიჰყიდა საკარმიდამო ვენახში მოკრეფილი 4.990 კილოგრამი ყურძენი, ზოვრეთელმა ს. ნებიერიძემ — 3.048 კილოგრამი, ლევერდელმა გ. ჰანკვეტაძემ — 4.376 კილოგრამი. მათ არც სვირის, კვალითისა და სხვა სოფლების კოლმეურნეები ჩამორჩებიან.

მცხეთა. მუხრანის კოლმეურნეობის წევრმა გიორგი პაპაშვილმა თავის საკარმიდამო ნაკვეთზე მოყვანილი 7.000 კილოგრამი ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს და მიიღო 3.253 მანეთი, სოფელ ქსოვრისის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ამირან დალაქიშვილმა — 3 ათასი კილოგრამი ყურძენი და ერგო 1.350 მანეთი, ხოლო მათე ბერიძემ — 2 ათასი კილოგრამი.

## საკარმიდამო ვენახებიდან

ბოლნისი. (საკ. კორ.). აქ წელს ყურძნის უხვი მოსავალია. ღვინის ქარხანაში მარტო საზოგადოებრივი ზვრებიდან კი არ მოდის ყურძენი, არამედ დიდი რაოდენობით აბარებენ მოსავალს მუშა-მოსამსახურეები და კოლმეურნეებიც.

ბოლნისის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ლ. ლაზარეიშვილმა სახელმწიფოს მიჰყიდა 1.100 კილოგრამი ყურძენი, დიდი რაოდენობით მიჰყიდეს ყურძენი სახელმწიფოს დ. ხუციშვილმა, მ. გუნაშოვმა და სხვ.

# ხილი — მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელებს

ყოველდღე ძლიერდება ხილის კრეფის ტემპი გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალ კასპის რაიონში. მეხილეებმა სამმართველოში ყველაზე ადრე შეასრულეს ხილის მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალება. სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.600 ტონაზე მეტი ხილი და ამით წლიურ გეგმას 600 ტონით გადააჭარბეს. კასპელი მეხილეები სახელმწიფოს დამატებით კიდევ 200 ტონა ხილს მიჰყიდიან.

კოდისწყაროს მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ს. მუმლაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ი. დალაქიშვილი, უფროსი აგრონომი თ. ღვინაძე) წელს კარგად მოუარა ხეხილის ნარგავებს და შედეგიც კარგი მიიღო. 88 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე აქ მიღებულია 56 ცენტნერი ვაშლი ნაცვლად 45 ცენტნერისა.

ამჟამად მეურნეობაში სწრაფად მიმდინარეობს ხილის დახარისხება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. სახელმწიფოს უკვე მისცეს 802 ტონა მაღალხარისხოვანი ხილი, აქედან მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელებს გაუგზავნეს 70 ტონაზე მეტი ვაშლი.

ხილის მიღებას შეუფერხებლად აწარმოებს მიმღები პუნქტი (გამგე ა. მახარაშვილი). ვაშლის დახარისხებასა და ყუთებში ჩაწყობაზე კარგად მუშაობენ ნაზო კუდუხაშვილი, ნელი და იზო ტუხიაშვილები, ხოლო ხილის კრეფაში ქება დაიმსახურეს რუსიკო ტუხიაშვილმა, ნინო ღვინაძემ, ქეთო ნადირაძემ, ზოია კუდუხაშვილმა, ნადია თოგოშვილმა.

მეურნეობის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ საოქტომბრო დღესასწაულთან დაკავშირებით 25 ოქტომბრამდე სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდოს 100 ტონა მაღალხარისხოვანი ხილი.

მანდარინის უხვი მოსავალი მწიფდება სოხუმის რაიონის გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება აიღეს წელს სახელმწიფოს ნაცვლად 700 ტონისა ჩააბარონ 730 ტონა მანდარინი. ამ დღეებში აქ დაიწყება ნაყოფის შერჩევითი კრეფა.



სურათზე: პირველი აგრორაიონის აგროტექნიკოსი შ. იობაშვილი ამოწმებს მანდარინს შერჩევითი კრეფის წინ.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა
(საქდესის ფოტოქრონიკა).



# დე გოლის გამოსვლა

პარიზი, 18 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს პრეზიდენტი დე გოლი კვლავ გამოვიდა (უკვე მესამედ იმ მომენტიდან, რაც გამოაცხადეს მისი განზრახვა შეცვალოს საფრანგეთის ახლანდელი კონსტიტუცია) საფრანგეთის რადიოთი და ტელევიზიით. იგი კვლავ მოუწოდებდა ფრანგ ამომრჩევლებს მხარი დაუჭირონ 28 ოქტომბრის რეფერენდუმზე მის რეფორმას, რაც იმით გამოიხატება, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს ამიერიდან საყოველთაო კენჭისყრით ირჩევდნენ.

დე გოლი ფაქტიურად იმუქრებოდა, რომ გადადგება იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი წინააღმდეგ მისცემს ხმას, ან თუ უმრავლესობა უარს იტყვის, მაგრამ ეს უმრავლესობა უმნიშვნელო იქნება. ასეთ შემთხვევაში, განაცხადა პრეზიდენტმა, „ჩემი მისია მაშინვე და საბოლოოდ დამთავრდება“.

მაღალფარდოვანი გამოთქმებით დე გოლი რეკლამას უკეთებდა თავისი რეჟიმის „მიღწევებს“, არ იშურებდა სიტყვებს თავის ქებისათვის. „ოთხი წლის განმავლობაში, — განაცხადა მან, — მე შევძელი, მოქალაქეთა უფლებისა და საზოგადოებრივ თავისუფლებათა დაურღვევლად უზრუნველმეყო საფრანგეთის წინსვლა პროგრესის, აყვავების, სიდიადის გზით...“.

დე გოლი ამტკიცებდა, რომ თუ იგი „გაქრება“, საფრანგეთს მოელის „წინანდელი არეულობა, ხოლო მალე კატასტროფაც“. ფაქტიურად კი გენერალმა თავის დღევანდელ გამოსვლაში არ მოიყვანა არც ერთი საფუძვლიანი მოსაზრება, რომელიც ახსნიდა, რად უნდა ამიერიდან ფრანგ პრეზიდენტს ესოდენ ფართო რწმუნებულებანი, რომელიც აშკარა დიქტატურას უახლოვდება. მან განაცხადა, რომ ეს საჭიროა „საფრანგეთის წინაშე ისტორიული პასუხისმგებლობისათვის, რომელიც მას აკისრია“.

## საშიში ექსპერიმენტები

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი. (საქდესი). გუშინ საღამოს კანავერალის კონცხზე კატასტროფით დამთავრდა მორიგი გამოცდა ამერიკის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა „მინიტმენისა“, რომელიც მუშაობს მაგარი სათბობით. რაკეტა წარმატებით ამოვიდა მიწისქვეშა ჭიდან და ნაცვლად იმისა, რომ ნავარაუდევი კურსით ატლანტის ოკეანისაკენ წასულიყო, პოლიგონის ცენტრის გავლით პატარა სიმაღლეზე წავიდა ფლორიდისაკენ, რამაც თავზარი დასცა ყველა შემკრებილს.

რაკეტა „მინიტმენი“, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში „მყისი მოქმედების რაკეტას“ უწოდებენ, ააფეთქეს პოლიგონზე 8 წამის შემდეგ, რაც იგი მაინც ავიდა გარკვეულ სიმაღლეზე. სარაკეტო ბაზასა და ახლომდებარე რაიონს ალმოდებული სათბობი და ნამსხვრევები დაეყარა.

## ჩინელ სტუმრებთან

მოსკოვი. (საქდესი). ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია შეხვდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს ნ. ვ. პოპოვას. დელეგაციის მეთაურმა — საზოგადოების ძიანსუს პროვინციის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატმა პენ ჩუნმა მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ ჩინეთის დელეგაციას შესაძლებლობა მიეცა საბჭოთა მეგობრებთან ერთად აღენიშნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მე-13 წლისთავი.

— თქვენს მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს, — თქვა მან, — ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად სურთ გააღრმაონ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ხალხთან. სამშობლოში რომ დავბრუნდებით, ყველას ვუამბობთ გულითად გრძნობებზე, რითაც გამსჭვალული არიან საბჭოთა მეგობრები ჩვენი ქვეყნისადმი.

პენ ჩუნმა აღნიშნა, რომ დელეგაციის წევრებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ადამიანების შრომითმა ენთუზიაზმმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ განვითარდეს პირადი კონტაქტები მეგობრობის მოძმე საზოგადოებათა წევრებს შორის.

# მეტი მონდომება, ტემპი!

## ჩვენი მიმოხილვა

თესვის გადამწყვეტი დღეებია ახლა. ცოტა დრო დარჩა აგროტექნიკურ ვადებში თესვის დასამთავრებლად. ამიტომ აუცილებელია ხელსაყრელი თვითეული დღისა და საათის მაქსიმალურად გამოყენება. ამ საქმეში მეტი მონდომება უნდა გამოიჩინონ ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველოებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

რა მდგომარეობა გვაქვს რესპუბლიკაში 15 ოქტომბრის მდგომარეობით? თესვის მაჩვენებლები მეტყველებენ, რომ მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა. სულ საშემოდგომო კულტურები დათესილია 124.180 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 190.002 ჰექტარისა. თესვის დავალება შესრულებულია 65,4 პროცენტით.

სიღნაღის საწარმოო სამმართველოში გეგმით უნდა დაითესოს 49.681 ჰექტარი. დათესილია 32.982 ჰექტარი, გორის საწარმოო სამმართველოში 26.952 ჰექტარიდან დათესილია 15.010 ჰექტარი. თესვის გეგმის შესრულებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ თელავის, გურჯაანის, ბოლნისის, დუშეთის, ახალციხის საწარმოო სამმართველოები. მაგრამ თესვის ტემპი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. თელავის საწარმოო სამმართველოში გეგმა შესრულებულია 52,2 პროცენტით, გურჯაანის — 67,3, ბოლნისის — 57,9, დუშეთის — 55,9, ახალციხის საწარმოო სამმართველოში — 57,5 პროცენტით. შედარებით უკეთ მიდის თესვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც გეგმა შესრულებულია 81,1 პროცენტით, ზესტაფონის საწარმოო სამმართველოში — 95,4, თეთრი წყაროს — 91,3, ხოლო მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტში — 78,9 პროცენტით.

მზრალად ხვნას დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის. მეტი მზრალი მეტი მოსავალია. ეს სამუშაო შარშანდელთან შედარებით უკეთ მიდის. 15 ოქტომბრისათვის რესპუბლიკაში მზრალად მოხნული იყო 111.585 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 187.367 ჰექტარისა, ანუ გეგმა შესრულებულია 59,6 პროცენტით. შარშან კი გეგმის შესრულება ამავე პერიოდისათვის 46,7 პროცენტს უდრიდა.

მართალია, მზრალად ხვნის აგროტექნიკური ვადები წინ არის, დროც საკმაო დარჩა. მაგრამ ადრე მოხნული მზრალი საუკეთესო შედეგებს იძლევა. ეს უნდა იქნას გათვალისწინებული. მზრალად ხვნის სამუშაო შედარებით კარგად მიდის ახალციხის საწარმოო სამმართველოში, სადაც დავალება შესრულებულია დიდი გადაჭარბებით. თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოში გეგმა შესრულებულია 81,1 პროცენტით, სიღნაღის — 68, გორის — 66,7, დუშეთის — 43,2, გურჯაანის — 41,7 პროცენტით. ყველგან ასე როდია. მაგალითად, თელავის საწარმოო სამმართველოში მზრალად ხვნის გეგმა შესრულებულია 18 პროცენტით, ბოლნისის — 34, ზესტაფონის — 21,8, წყალტუბოს — 10,6, საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტში — 24,8 პროცენტით.

საჭიროა ამთავითვე მივიღოთ ზომები მზრალად ხვნის ტემპის დასაჩქარებლად.

თამბაქოს შეტეხის გეგმის შესრულება საფრთხეშია. ყოველი ღონისძიებით უნდა დავაჩქაროთ ეს სამუშაო. არცერთი კილოგრამი თამბაქო, არცერთი ფოთოლი არ უნდა დავკარგოთ. თამბაქოს შეტეხის ვადები იწურება. რესპუბლიკაში გეგმით გათვალისწინებული 156.600 ათასი ზონარმეტრი თამბაქოს ნაცვლად 15 ოქტომბრისათვის შეტეხილია 77.245 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, გეგმის 49,3 პროცენტი.

სიღნაღის საწარმოო სამმართველოში თამბაქოს შეტეხის დავალება შესრულებულია 88,1 პროცენტით, ბოლნისის — 96,1, აფხაზეთის ასსრ-ში — 23,1, აჭარის ასსრ-ში — 54,4 ხოლო საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტში — 68 პროცენტით.

შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება უკვე მასობრივად ჩაღდება. დიდი დრო როდია დარჩენილი ამ სამუშაოს შესრულებისათვის. წელს ჩვენმა მეჭარხლეებმა შაქრის ჭარხლის მოსავალი უნდა აიღონ 5.366 ჰექტარზე, დღემდე აღებულია 634 ჰექტარი. აღების ტემპი ჩამორჩება შარშანდელს. ამავე პერიოდისათვის შარშან აღებული იყო 1.098 ჰექტარი. გორის საწარმოო სამმართველოში ასაღები აქვთ 4.728 ჰექტარი. აქედან აღებულია 519 ჰექტარი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 638 ჰექტარიდან აღებულია 115 ჰექტარი.

დავაჩქაროთ შაქრის ჭარხლის აღება და უზრუნველვყოთ გეგმის წარმატებით შესრულება. ახალი საჩუქრები მოვუმზადოთ დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავს.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1962 წლის 18 ოქტომბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სკკპ ლიპეცკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი სერგი ტიმოთეს-ძე პუზიკოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო



# საზოგადოებრივი მეურნეობა დიდ გზაზე

## აი რატომ ამბობენ ნებაყოფლობით უარს საკარმიდამო ნაკვეთებზე სოფელ გამარჯვებაში

### როცა კოლმეურნეობას სათავეში უდგას გამოცდილი აგრონომი

ვანო ფიროსმანიშვილი.

ადრე ამ სოფელს უზუნდარა ერქვა. [illegible]

[illegible] ლამაზე, თვითონ ჩამოჯდარა და სალამურს არაკრაკებს, მეცხვარის გვერდით ჩაცუცქულან ნაგაზები, უსმენენ ნაცნობ მელოდიას და ყურსაც არ იბერტყავენ.

ბილიკმა ფართო გზაზე გაგვიყვანა. სოფლის ცენტრში უზარმაზარი კულტურის სასახლე დგას — თაღებითა და კოლონადებით დამშვენებული.

—მოგწონთ?! — მეკითხება ახალგაზრდა თანამგზავრი და თვითონვე იძლევა პასუხს: — ცოტა დიდი კი გამოგვივიდა, ძვირიც დაგვიჯდა... მაგრამ არა უშავს, ჩვენც ვიზრდებით. ახლა იმდენი ბალღები დარბიან სოფელში, რომ ეჭვი არ არის მოუვლიან, გამოიყენებენ.

რა კონტრასტია. ძველად სოფელში ყველაზე დიდი შენობა ეკლესია იყო. შორიდან მომავალი კაცი პირველად მის გუმბათს მოჰკრავდა თვალს, შემდეგ რომელიმე მებატონის ან მღვდლის სასახლეს... აბა გლეხკაცის ქოხებს რა ჰქონდათ გამოსაჩენი — სიგრძე თუ განი, კედელი თუ სახურავი.

ახლა ნახეთ თუნდაც ეს სოფელი... ადრე უზუნდარა, დღეს კი გამარჯვება რომ ჰქვია. რა ლამაზი სახლები უდგათ კოლმეურნეებს ალალი, მართალი შრომით აშენებული და დამშვენებული. რა კარგი სკოლა და საბავშვო ბაღი აქვთ, საავადმყოფო და სამშობიარო სახლი, აფთიაქი, ბიბლიოთეკა და მაღაზიები, წისქვილი და აბანო, ფერმები და სატრაქტორო პარკი.

ნახეთ მათი მინდვრები, ბაღები და ვენახები. ჯერ თვით სოფელში, მერე ალაზნისა და ივრისპირას, შირაქსა და ტარიბანაში.

ნახეთ კოლმეურნეთა შრომადღეები, სოფლის მთელი სიმდიდრის სპეტაკი წყარო.

**შრომადღე!..**

ეს ტერმინი საკოლმეურნეო მშენებლობასთან ერთად დაიბადა. იგი ახალი სახელია. თითქოს უბრალო, მაგრამ ბევრი რამის დამტევი.

იქ, სადაც იციან ამ სახელის ფასი, როგორც ქართველი კაცი იტყვის — მისი ჯადრი და თვალისჩინივით უფრთხილდებიან მას, სადაც შრომადღე ხელგაშლილად არ ურიგდება ყველას და მისი ყოველი მისხალი ოფლით არის მოპოვებული, მეურნეობა ძლიერია, ადამიანები მდიდარი და სულიერად ჯანსაღი.

— მთავარი ამოცანა, რომელიც დაისახა ჩვენმა კოლმეურნეობამ, — გვიხსნის წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების' ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვანო ფიროსმანიშვილი, — იყო შრომადღეების ავტორიტეტის განმტკიცება.

ბუნებრივია, თუ კოლმეურნე დარწმუნდა იმაში, რომ მისი შრომა საზოგადოებრივ მეურნეობაში უფრო კარგად ანაზღაურდება, ვიდრე საკარმიდამო ნაკვეთში, იგი ხელს აიღებს უსაფუძვლო შრომაზე და მთელ ენერგიას მოახმარს საერთო საქმეს.

როცა ღრმად ჩავუკვირდით ამ საქმეს, საფუძვლიანად გავეცანით დიადი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მარტის პლენუმის დადგენილებას, იმ დასკვნამდე, მივედით, რომ ჩვენი კოლმეურნეობის სამმართველო აპარატი მეტისმეტად იყო გადატვირთული, შრომადღეები ეწერებოდა ისეთ მუშაკებს, რომლებიც არ ქმნიდნენ მატერიალურ ფასეულობას და ზედმეტ ბარგად აწვნენ კოლმეურნეთა ნაოფლარს.

ვიმსჯელეთ, ავწონ-დავწონეთ მდგომარეობა და გადავწყვიტეთ: ამიერიდან გაგვეუქმებინა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილის შტატი და შეგვეთავსებინა ეს სამუშაო აგრონომისათვის. ამან თვეში მოგვცა 105 შრომადღის ეკონომია.

კოლმეურნეობას ჰყავდა 5 განთავისუფლებული ვეტფერშალი. აქედან მხოლოდ ერთი დავტოვეთ, დანარჩენი ოთხი კი უშუალოდ წარმოებებში წავიდა ბრიგადირებად. ამ ღონისძიებამ კოლმეურნეობას თვეში დაუზოგა 284 შრომადღე.

აბა მითხარით, რა საჭირო იყო მეძროხეობის ფერმის გამგე, როცა იქ სამი სპეციალისტი ბრიგადირი საუკეთესოდ ართმევდა თავს მუშაობას. ამიტომაც საერთო კრებამ გააუქმა ეს საშტატო ერთეულიც, რითაც მოვიგეთ ყოველთვიურად 50 შრომადღე.

ჯერჯერობით ასეთ ღონისძიებათა შედეგად წელიწადში გვაქვს 8.000 შრომადღის ეკონომია. ჩვენს კოლმეურნეობაში (მიუხედავად გვალვიანი ამინდებისა) ეს ნიშნავს: 20 ტონამდე მარცვლეულს, სამ ტონაზე მეტ მზესუმზირას, 120 დეკალიტრ ღვინოს, 10.000 მანეთამდე ფულს.

კოლმეურნე გლეხი პრაქტიკოსია. იგი ყოველ სალამოს ანგარიშობს რა გააკეთა დღეს და რას მიიღებს ამ შრომის საზღაურად. და როცა დარწმუნდება, რომ საკარმიდამო ნაკვეთის ყოველდღიური შემოსავალი საგრძნობლად ჩამორჩება მის შრომადღეს, რომელიც კოლმეურნეობაში გამოიმუშავა, იტყვის: არა, არ მინდა საკარმიდამო ნაკვეთიო.

ასე რომ თქვას ყველა კოლმეურნემ, ამიტომ იჯდა იმ დღეს ჩაფიქრებული ვანო ფიროსმანიშვილი და თავისთვის ანგარიშობდა.

„ერთი კილოგრამი ღორის ხორცი კოლმეურნეობას უჯდება 60 კაპიკი. სახელმწიფოს ვაბარებთ 1 მანეთად და 15 კაპიკად. მაშასადამე, ყოველ კილოგრამზე გვრჩება წმინდა მოგება 55 კაპიკი.

წელს 9 თვეში კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 805 სული ღორი (თითეულის საშუალო წონა 83 კილოგრამი იყო) და მიიღო წმინდა მოგება 38.784 მანეთი. ამჟამად ვასუქებთ და სულ მოკლე ხანში კიდევ გავყიდით 360 ღორს, ე. ი. ოცდაათ ტონა ხორცს და კოლმეურნეობის შემოსავალი დამატებით გადიდდება 16.830 მანეთით".

წელიწადში 55.614 მანეთი მოგება — ჩანს მეღორეობა ნამდვილად რენტაბელურია სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ეკონომიკისათვის.

ეს ფაქტი ახლა კი არა, თავიდანვე, როგორც კი ხალხმა თავმჯდომარედ აირჩია და ხელი მოჰკიდა საქმეს, იანგარიშა, გაითვალისწინა ახალგაზრდა აგრონომმა ვანო ფიროსმანიშვილმა. ამიტომ ჰყავთ წელს 1.528 სული ღორი, მათ შორის 120 დედაღორი.

მშვენიერ თეთრ შენობაში, რომელიც გალავანივით გასდევს ხეობას, ვნახეთ კოლმეურნეობის ეს სიმდიდრე. ღორიო, იტყვის კაცი, თორემ ნუ გაგიკვირდებათ, იქ დასახატი და დასაწერი მასალა რამდენიც გნებავთ იმდენია. თუნდაც აგერ საგულდაგულოდ დაბანილი დედაღორი (180 კილოგრამი მაინც იქნება), რომელსაც იმ წუთშივე მოუნახავს წუმპე და დინგი ჩაუყვია, გათხუპნულა, თავის დოლფარში ხის იატაკზეა გართხმული. დროდადრო ღრუტუნებს, თითქოს კვნესისო. დაიკვნესებს, აბა რა იქნება! 13 გოჭი მისევია მის ძუძუებს, პატარა და მოუსვენარ კუდებს ათამაშებენ, მხრებით ერთმანეთს ეკვრიან, ეძალებიან.

მაინც რა ლამაზები არიან ეს ყურებჩამოყრილი, თვალებდაჭყეტილი, დინგჩამრგვალებული, ღორმუცელა გოჭები. განსაკუთრებით მოგეწონებათ ის მეცამეტე, სულ თეთრი გოჭი, დედის ყველა ძუძუს რომ ეცილება თანატოლებს, მაგრამ არც ერთს არ უთმობენ.

მეცამეტე გოჭია და რა ქნას. თორმეტი წურბელასავით მიკვრია დედის მკერდს, მას კი ვერც დინგით, ვერც ჭყივილით ვერ მიუღწევია საწადელისათვის. ბოლოს, ვერაფერი რომ ვერ გააწყო, თავი ასწია, დალონებული თვალით შემოგვხედა. არა, ჩვენ კი არა, ლიზა ნაროზაულს შეხედა, დღედაღამ თავს რომ დასტრიალებს 17 დედაღორს და 170 გოჭს. ისიც მიუხვდა გულის წადილს. მიუალერსა, ხელში აიყვანა, შემდეგ აარჩია ყველაზე ღორმუცელა გოჭი, რომელსაც ზომაზე მეტად ჰქონდა მუცელი გამობერილი, მოსწყვიტა ძუძუს და მის ნაცვლად მეცამეტე მიუშვა.

კვლავ მოწმე გავხდით ჭიდილისა და საოცარი ღრუტუნისა. მაგრამ ახლა მეცამეტე იყო დედის მკერდს წურბელასავით მიკრული, ძლივს იშოვნა და ლუკმაპურს ასე იოლად აბა ვის დაუთმობდა.

**თეთრ** და გრძელ სახლში ლიზასთან ერთად კოლმეურნეობის დოვლათს სათუთად უვლიან თადო ფიროსმანიშვილი, მარიამ ნაროზაული, ჯუმბერ ფიროსმანიშვილი. უკანასკნელი ვერ ვნახეთ, გვითხრეს, თბილისში წავიდაო. თურმე დაუსწრებლად სწავლობს ინსტიტუტში, მესამე კურსის სტუდენტი ყოფილა და საკონსულტაციოდ გამოუძახნიათ.

დიახ, ასეთ დიდ მეურნეობას ნამდვილად სჭირდება კარგი ზოოტექნიკოსი.

თუ წელს კოლმეურნეობამ უკვე მიჰყიდა სახელმწიფოს 805 სული ღორი, ხოლო ამჟამად ასუქებს 360-ს, მომავალი წლისათვის ამთავითვე უყრიან საფუძველს, რომ გაზარდონ და გაასუქონ 1.800 სული, ისე რომ თვითეულის საშუალო წონა 90 კილოგრამი მაინც იყოს, რაც ნიშნავს 98.050 მანეთ წმინდა მოგებას წელიწადში.

ეს არის პირველი წყარო კოლმეურნეობაში შრომადღის ღირებულების გადიდებისა.

ახლა ცხვარი.

მეურნეობის ეს დარგი, როგორც იტყვიან, სისხლხორცეულია სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობისათვის. თვითონ თავმჯდომარე ვანო ფიროსმანიშვილი ოთხი წელიწადი მუშაობდა მწყემსად. მაშინ შვიდი კლასი ჰქონდა დამთავრებული და ისე იყო გატაცებული მწყემსის რთული, მაგრამ ლაღი და მიმზიდველი შრომით, რომ არ ეგონა ამ საქმეს როდისმე დაანებებდა თავს. მაგრამ სწავლამ თავისი გაიტანა. არ დაუჯერეს და შეიყვანეს მაჩხაანის ზოოტექნიკუმში. იქიდან ზოოტექნიკოსი დაბრუნდა და ისევ მშობლიურ კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. მერე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემინდვრეობის ფაკულტეტი... დიპლომი, აგრონომის წოდება...

დავუბრუნდეთ ისევ მეცხვარეობას.

ვანო ფიროსმანიშვილს, როგორც ყველა კოლმეურნეს, ანგარიში უყვარს. რამდენსაც დათესავ, მხოლოდ იმდენსავე თუ მოიყვან — ეს ვერაფერი ვაჟკაცობაა, ამით წინ ვერ წასწევ მეურნეობას. ნამეტი უნდა იყოს თვალსაჩინო, უხვი, იმედიანი, მაშინ არის გამართლებული შრომა და ფოლადივით მტკიცე — შრომადღე.

კვლავ ანგარიში: „ერთი კილოგრამი მატყლი ღირს 3 მანეთი, კოლმეურნეობას იგი უჯდება 50 კაპიკი. მაშასადამე, კილოგრამში ვიგებთ 2 მანეთსა და 50 კაპიკს. წელს კოლმეურნეობამ ჩააბარა 21 ტონა მატყლი, ე. ი. მოვიგეთ 52.500 მანეთი.

გარდა მატყლისა, ცხვარი ხომ იძლევა ხორცსა და რძეს. ამრიგად, მეცხვარეობაც რენტაბელურია ჩვენი მეურნეობისათვის. ამავე დროს მეტად საჭირო და აუცილებელი ქვეყნისათვის, მოსახლეობისათვის".

**მეტი** ცხვარი მეტი გემრიელი კერძია მშრომელი კაცის სუფრაზე. ეს კარგად იციან კოლმეურნეებმა და ამიტომ იბრძვიან პროდუქტის სიუხვისათვის.

აი თუნდაც გიორგი ივანიძე. იგი მწყემსების ბრიგადირია, სასოფლო საბჭოს დეპუტატი. წელს მის ბრიგადაში თითო ცხვარზე საშუალოდ მიღებულია 3 კილო და 262 გრამი მატყლი ნაცვლად 3 კილოგრამისა. ცხვრის ნამატი კი 1.223 სულს უდრის.

ეს მთელი სიმდიდრეა. რამდენ ასეთ სიმდიდრეს საგულდაგულოდ უვლიან, იცავენ, ამრავლებენ მამაცი მწყემსები მალხაზ დათუკიშვილი, ალექსი პოპიაშვილი, გუგული გიგოლაშვილი და სხვა მრავალნი, ზამთარზაფხულ „ცა საბნად რომ აქვთ და დედამიწა ლეიბად".




ასე იზრდება სახელმწიფოსათვის მისაყიდი პროდუქტების რაოდენობა სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში.

სოფელ გამარჯვებაში (ეს სახელი სოფელ უზუნდარას 1945 წელს შეარქვეს კოლმეურნეებმა დიდ სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის გამარჯვების აღსანიშნავად) 465 კომლი სახლობს. აქ ყოველდღე სამუშაოდ გამოდის 840 შრომისუნარიანი კაცი და ქალი. მათ გამრჯე ხელებს აბარია 136 ჰექტარი ვენახი, 25 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 8.100 სული ცხვარი, 1.155 მსხვილფეხა საქონელი, აქედან 383 ძროხა, 1.528 სული ღორი, 11.000 ფრთა ქათამი.

ყოველწლიურად ხორბალი ითესება 1.100 ჰექტარზე, სიმინდი 700 ჰექტარზე, ქერი 300 ჰექტარზე, ჭარხალი 80 ჰექტარზე, ბალჩეული 20 ჰექტარზე, მზესუმზირა 200 ჰექტარზე.

ყველა ეს დიდი სამუშაო მექანიზებულია.

გავიხსენოთ, რევოლუციის პირველ წლებში ამ მიწებს კავით ჩიჩქნიდნენ ან გუთანს ათი ყევარი ხარ-კამეჩი მიათრევდა. იმიტომ ღიღინებს ნაღვლიანად ყველა ძველ თქმულებასა თუ სიმღერაში გუთნისდედა.

ახლა მარტო სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობას აქვს 17 ტრაქტორი, 11 კომბაინი, 25 საბარგო ავტომანქანა, მრავალი კულტივატორი და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღი.

მექანიზაცია ადვილებს ადამიანის ფიზიკურ შრომას, იგი უხვი მოსავლის მძლავრი საფუძველია. უხვი მოსავალი კი, ცხადია, ზრდის შრომადღის ღირებულებას.

საკარმიდამო ნაკვეთებზე კოლმეურნეებმა იმიტომ კი არ თქვეს უარი, იმიტომ კი არ მიჰყიდეს კოლმეურნეობას საკუთარი ძროხები, რომ დროს ვერ იშოვნიდნენ დაემუშავებინათ მიწა ან მოეარათ პირუტყვისათვის. არა, იმიტომ, რომ საკარმიდამო ნაკვეთებზე მიღებული ჭირნახულის, რძისა და ხორცის თვითღირებულება გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე საზოგადოებრივ მეურნეობაში.

მარტო წელს 22 კოლმეურნემ შეიტანა კოლმეურნეობის გამგეობაში განცხადება სხვადასხვა რაოდენობით საკარმიდამო მიწის ნაკვეთის შემცირებაზე.

**შრომადღე** რომ მტკიცე არის, ამიტომ მუშაობენ ნაყოფიერად კოლმეურნეები. წელიწადში 365 დღეა, კოლმეურნე ნოე თევდორაძეს კი 9 თვეში 793 შრომადღე აქვს გამომუშავებული, ვასილ კოტაშვილს — 789, ვანო გონაშვილს — 776, ბარბალე ნაროზაულს — 742, ლიზა ნაროზაულს — 690, მიხეილ თარაშვილს — 648...

და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენია აქ ასეთი მოწინავე, შრომისმოყვარე, საზოგადოებრივი საქმისათვის თავდადებული კოლმეურნე. არის ისეთი ოჯახიც, სადაც რამდენიმე შრომისუნარიანი კოლმეურნეა და წელიწადში 1.500-ზე მეტი შრომადღე აქვთ გამომუშავებული.

ეს უდრის წელიწადში ოთხ ტონაზე მეტ მარცვლეულს (მიუხედავად გვალვიანი წელიწადისა), ნახევარ ტონამდე მზესუმზირას, 25 დეკალიტრ ღვინოს, 60 კილოგრამ ყველს და 1500 მანეთს ფულად.

ქვეყნის წინაშეც პირნათელია კოლმეურნეობა, კოლმეურნეები. მათ 9 თვეში სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 112 ტონა ხორცი, 18 ტონა მატყლი, 366 ტონა რძე, 342.000 კვერცხი, 236 ტონა ყურძენი.

პირობა გადაჭარბებულია. დღეისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 142 ტონა და 600 კილოგრამი ხორცი, 21 ტონა მატყლი, 420 ტონა რძე, 391.000 კვერცხი და 237 ტონა ყურძენი.

სოფელ გამარჯვებაში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. კოლმეურნეები ახალ საწარმოო გამარჯვებათა რეალურ გეგმებს სახავენ. მათ შეგნებული აქვთ, თუ რას ნიშნავს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება.

ამას წინათ სასოფლო ყრილობაზე დიდი სჯა-ბაასი ჰქონდათ საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის, დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

კოლმეურნეებმა მკაცრად გააკრიტიკეს ისინი, ვინც აქტიურად არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში, მუშაობს მხოლოდ სეზონურად, ჰყავს საკუთარი პირუტყვი, უფასოდ სარგებლობს კოლმეურნეობის საძოვრებით, განათებით, წყლით, გზებით, წისქვილით, საექიმო მომსახურებით. ასეთები, მართალია, ცოტანი, მაგრამ მაინც არიან და ხელს უშლიან საერთო საქმეს. მათ არა აქვთ გამომუშავებული შრომადღეების სავალდებულო მინიმუმიც კი.

რა ვიღონოთ ასეთ კოლმეურნეთა წინააღმდეგ, როგორ გამოვასწოროთ ისინი? აი საკითხი, რომელმაც სოფლის ყრილობის ყველა მონაწილე დააინტერესა.

კოლმეურნეებმა მოითხოვეს, რომ ასეთ უქნარა, თვალთმაქც ადამიანებს საძოვრებისა და განათების, წყლის, წისქვილის და სხვა საკოლმეურნეო მომსახურებისათვის სამმაგად გადახდეთ გადასახადი, ვიდრე კეთილსინდისიერ კოლმეურნეებს. ხოლო ვინც გამგეობის ნებადაურთველად სრულიად უმიზეზოდ მიატოვებს სამუშაოს და ამით გარკვეულ მატერიალურ ზარალს მიაყენებს კოლმეურნეობას, მას, გარდა საერთო წესით პასუხისმგებლობისა, დაევალოს ზარალის სრულად ანაზღაურება.

სოფლის ყრილობაზე დიდი მსჯელობა იყო კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების აქტუალურ საკითხზე. კოლმეურნეებმა ბევრი საინტერესო წინადადება წამოაყენეს.

— იმ მიზნით, რომ გაიზარდოს კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება პროდუქტების წარმოებით, — აღნიშნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვანო ფიროსმანიშვილმა, — საჭიროა მასობრივად დაინერგოს ინდივიდუალური გაპიროვნება მეცხოველეობისა და მევენახეობის ბრიგადებში და შემოღებულ იქნას გეგმის ზევით წარმოებულ პროდუქციაზე შრომის მაღალი დამატებითი ანაზღაურება.

ასეთ შემთხვევებში აუცილებლად უნდა იქნას მიღებული მხედველობაში კოლმეურნის მუშაობა კალენდარული დღეების მიხედვით. მეცხოველეობაში ეს დღეები უნდა იყოს არანაკლებ 280-ისა, ხოლო სხვა დარგებში — მამაკაცებისათვის 240, ხოლო ქალებისათვის — 100.

რაც შეეხება გარანტირებულ ანაზღაურებას, რომელიც ძირითადად ტრაქტორისტებისთვის არის დაწესებული, იგი უნდა გატარდეს მას შემდეგ, როცა კოლმეურნე ტრაქტორისტი გამოიმუშავებს 240 კალენდარულ დღეს.

ზოოტექნიკოსმა ქ. ბილიაშვილმა დააყენა საკითხი, რომ არაპროდუქტიული პირუტყვი და ფრინველი (მოზვერი, მამალი თოხლი, მამალი ფრინველი და სანაშენოდ უვარგისი დედალი პირუტყვი) არ იქნას შენახული ზამთარში, გამოყენებულ იქნას სახორცედ.

— ჩვენ რძეს ვაბარებთ, — აღნიშნა მან, — მიმღებ პუნქტებს, ხშირად მანქანა და განსაკუთრებით ბრიგადირი მთელი დღე ცდება იმისათვის, რომ რამდენიმე ასეული კილოგრამი რძე ჩააბაროს და გაიგოს მისი ცხიმიანობა. კარგი იქნება, თვითონ მიმღები პუნქტი, რომ გამოჰყოფდეს მანქანას, ჩამოუვლიდეს კოლმეურნეობას და ადგილზევე ჩაიბარებდეს რძეს, იქვე დაადგენდეს მის ცხიმიანობას... ეს უთუოდ შეამცირებდა რძის თვითღირებულებას.

მექანიზატორებმა აღნიშნეს სახარატო დაზგა-დანადგარების აუცილებლობა კოლმეურნეობაში, რათა უბრალო ჭანჭიკის გამოსაჩარხავად არ ირბინონ რაიონულ ცენტრში, უქმად არ დაკარგონ ძვირფასი სამუშაო საათები.

კიდევ ბევრი რამ ითქვა სოფლის ყრილობაზე. ყველაფერი ერთ მიზანს — კოლმეურნეობის შემდგომი წარმატებისათვის ბრძოლას ემსახურებოდა.

**ბარაქიანი** შემოდგომაა სოფელ გამარჯვებაში. ჭირნახულს აბინავებენ, თესავენ, ცხვარს მიერეკებიან საზამთრო საძოვრებისაკენ, ზამთრისათვის არემონტებენ პირუტყვის სადგომებს, იმარაგებენ საკვებს.

ყველგან შრომაა გაჩაღებული — სოფელში, ალაზნისა და ივრის ჭალებში, ტარიბანაში.

ახალი გეგმები ახალ ძალასა და ენერგიას მოითხოვს. ეს ენერგია, ეს ძალა თვით ხალხშია. სოფელ გამარჯვებაში მას ასულდგმულებს ის 840 კაცი და ქალი, რომელთა გონებამ და მარჯვენამ ასე მიქარგ-მოქარგა მთაველი, ბაღები და ვენახები, ჭალა და ხეობა.

ცხოვრების სიახლემ, საზოგადოებრივი მეურნეობის სიდიადემ ფრთა გაშალა სოფელ გამარჯვებაში. მისი სიტკბო და ძალა უკვე იგემეს კოლმეურნეებმა. ეს ბედნიერებისაკენ, ხალხთა კეთილდღეობის ამაღლებისაკენ მიმავალი საიმედო გზაა. იგი ფართო და ნათელია და მიემართება კაცობრიობის სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

დიდება მშრომელი ადამიანის ამ ნათელ გზას!

**ბენო თათარიშვილი.**

წითელწყაროს რაიონი.
სოფელი გამარჯვება. ოქტომბერი.



მეღორეობის ფერმის მოწინავე კოლმეურნეები: ლიზა ნაროზაული, მარიამ ნაროზაული, ბიჭიკო გონაშვილი და თადო ფიროსმანიშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

**გარკვეულ ეტაპზე კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა მიაღწევს განვითარების ისეთ დონეს, როცა შესაძლებელი გახდება მისი რესურსებით სავსებით დაკმაყოფილდეს კოლმეურნეთა მოთხოვნილებანი. ამ საფუძველზე პირადი დამხმარე მეურნეობა თანდათანობით დრომოჭმული გახდება ეკონომიურად. როცა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა მთლიანად შეცვლის კოლმეურნეთა პირად დამხმარე მეურნეობას, როცა კოლმეურნეები თვითონ დარწმუნდებიან, რომ მათთვის ხელსაყრელი არ არის ჰქონდეთ საკარმიდამო მეურნეობა, ისინი ნებაყოფლობით იტყვიან უარს მასზე.**

სკკპ პროგრამიდან.

# თბილ ადგილებზე

## კოლმეურნეობათა გადაყენებული თავმჯდომარეების „თავშესაფარი“

[illegible]

დაასვენებს. თუ ძილი მოერია, გარეთ გამოვა, სუფთა ჰაერზე გაისეირნებს. თითქმის ყოველდღე ასეა.

— ვინ არის იგი? — უთუოდ დაინტერესდებით მისი ვინაობით.

— ეს ჩვენი გამგეა! — გეტყვით ლურჯხალათიანი გამყიდველი.

— გამგე?! — გიკვირთ, ასეთ პატარა მაღაზიას გამგე რათ უნდა. და ეს შეუმჩნეველი როდი რჩება გამყიდველს.

— დიახ გამგეა. რატომ გიკვირთ?

— დიდი ხანია მუშაობს?

— სამ წელზე მეტია.

— ადრე სად მუშაობდა?

— კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო.

— სად?

— ტინისხიდი გაგიგონიათ?

— როგორ არა.

— აი იქ.

— სოფლის მეურნეობაში გარკვეული ყოფილა.

— გარკვეული რას ჰქვია, ზეპირად იცის. აბა, უმაღლესი ტყუილად დაამთავრა.

ტყუილად, — ამ სიტყვის წარმოთქმისას გამყიდველს ბაგეზე ღიმილმა გადაურბინა. კვლავ ცნობისმოყვარეობა გძლევთ.

— რა დარგი აქვს დამთავრებული?

— აგრონომიული.

— მერე აქ რა უნდა!

— აბა რა გითხრათ. ამას მე არ მკითხავენ.

...მაღაზიაში შემოდის სოლიდური შეხედულების კაცი. გაიცანით — ვლადიმერ ჩიტალაძე. აქ წყვეტთ გამყიდველთან საუბარს.

ახლა ჩიტალაძეს გამოელაპარაკეთ.

— უმუშევარი ვიყავი და რა მექნა.

ილებს. ამბობენ, სხვა სარგებლობაც აქვსო.

უნდა ვუთხრათ ჩიტალაძეს, სად დაკარგა სინდისი, განა ასე შეჰფერის კომუნისტს?..

**მუშაობა** ხილ-ბოსტნეულის მიმღებ პუნქტში — ნიშნავს იმას, რომ ხარ მეტად თბილ ადგილზე. მიუხედავად იმისა, რომ საქმე სეზონურია და ხელფასი არც თუ ისე დიდი, ყველას ვისაც კი სამუშაოდან გაათავისუფლებენ თუ მოხსნიან, თვალი ხილ-ბოსტნეულის მიმღები პუნქტისაკენ უჭირავს. ზოგი მათგანი ახერხებს კიდეც მოწყობას.

ამ ერთი წლის წინათ მუშაობის ჩაშლისათვის სოფელ დიცის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს კომუნისტი არჩილ გორგიშელი. გაათავისუფლეს, და მან ზურგი შეაქცია კოლმეურნეობას. კოლმეურნის უფლებით კი სარგებლობს, 0,34 ჰექტარი მიწის ნაკვეთი უჭირავს სოფელში. იგი აგროტექნიკოსია, მაგრამ კოლმეურნეობას სათოფედ აღარ გაეკარა. ფეხი არსად გადადგა, სანამ ხილ-ბოსტნეულის მიმღებ პუნქტში არ მოეწყო. უკანასკნელად მერეთში იყო პუნქტის გამგედ. კურკოვანი ხილის გეგმის შეუსრულებლობისათვის აგვისტოში იგი იმავე პუნქტში სპეციალისტად ჩამოაყენეს. მაგრამ თავს მაინც კარგად გრძნობს. ამას არ აუღელვებია არჩილი.

ა. გორგიშელმა კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდში ქალაქ გორში ორსართულიანი სახლის აშენება მოასწრო და ახლა ახალ ბინას ძვირფასი ავეჯით აწყობს. მისი თვიური ხელფასი 36 მანეთს შეადგენს.

აქვე მინდა არჩილ გორგიშელის მეგობარი ზაქარია მარიამიძე მოვიხსენიო. ერთ ხანს ზაქარია არჩილივით სოფლის თავკაცი იყო: სოფელ ტირძნისის კოლმეურნეობა „კავკასიონის“ თავმჯდომარეობიდან ისიც სუსტი მუშაობისათვის გაათავისუფლეს. მშობლიურ კოლმეურნეობაზე გამწყრალმა დიდხანს უმუშევრად იარა. ბოლოს ხილის პუნქტში მოეწყო მეკუჭნავედ. მაგრამ კოლმეურნის უფლებები დარჩა. იგი არ დასჯერდა იმას რომ სოფლად ჰქონდა სახლი და ქალაქ გორში მეორე აიშენა. (სახლი გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტექაღრიცხვის ბიუროში რეგისტრირებულია ვინმე ბედოშვილის სახელზე) (!), ამასთან სოფელ კარბში 0,40 ჰექტარ მიწის ნაკვეთს ფლობს, კარგი ბაღი და ვენახი აქვს.

თბილ ადგილზე მოკალათებაში მათ არც ბესო გაგნიძე ჩამორჩება. ბესო სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადს“ თავმჯდომარეობდა. კოლმეურნეობაში დანაშაულებანი გამოვლინდა, თავმჯდომარე სავარძლიდან ჩამოსვეს და ცოტა ხნის შემდეგ ხელთუბნის ხილ-ბოსტნეულის მიმღები პუნქტის გამგედ მოეწყო.

დამაინტერესა, როგორ ართმევს თავს მუშაობას გაგნიძე. 10 ოქტომბრისათვის გეგმით გათვალისწინებული 480 ტონიდან თესლოვანი ხილი პუნქტს დამზადებული ჰქონდა 350 ტონა. აქედან სტანდარტულია 140 ტონა.

როგორც ჩანს, საქმერად გაგნიძეს აქაც არა აქვს საქმე.

ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა. მაგრამ ესეც საკმარისია თბილი ადგილების მაძებართა ნათელსაყოფად.

ამის შესახებ განა არ იციან პარტიის გორის რაიკომსა და გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში?

იციან, კარგად იციან, მაგრამ დუმან. სოფლის ყოფილი თავკაცების თავშესაფარად იქცა მაღაზია და ხილ-ბოსტნეულის პუნქტი!...

**მ. ხეთაგური,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

---

### ნამდვილი ამბავი

# მოულოდნელი შეხვედრა

1911 წ[illegible]

[illegible]

გორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე სამსონის მიერ დატოვებულ ოჯახშიც.

სამსონის საყვარელი პირმშო — მიხეილი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში 1928 წელს გარდაიცვალა. გარდაიცვალა მეუღლეც, რომელმაც ობლობასა და გაჭირვებაში აღზარდა სამი შვილი. სამსონის ქალიშვილები კი ახლაც კარგად არიან და ცხოვრობენ ქუთაისში ჯაფარიძის ქ. № 19-ში. უფროსი მათგანი — მარო — დიასახლისია, მეორე — ევპრაქსი — ქალაქის ბავშვთა პირველი პოლიკლინიკის სამედიცინო დად მუშაობს, მისი ქალიშვილი ლეილა კი ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელია.

მოძმე ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ თვალწარმტაც კურორტზე მხიარულად ატარებდა თავისუფალ დროს საბჭოთა კავშირიდან ჩასული დამსვენებელთა ჯგუფი.

— მიხეილ წივწივაძის სახელზე დეპეშაა — მოისმა ვიღაცის ხმა. დამსვენებელთა ჯგუფს სწრაფად გამოეყო მაღალი, მოხდენილი ვაჟკაცი და წავიდა.

ერთმა დამსვენებელთაგანმა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ლაბახუამ მას თვალი გააყოლა და გაიფიქრა.

— ნუთუ ეს კაცი ქართველია?

როგორც კი მიხეილი დამსვენებელთა ჯგუფს დაუბრუნდა, მასთან დაუყოვნებლივ მივიდა ა. ლაბახუა და მიმართა:

— მაპატიეთ თქვენ ქართველი ყოფილხართ, მე კი აქამდე ვერ შევამჩნიე, ისე სუ[illegible] მაგრამ უშედეგოდ.

ა. ლაბახუამ აღუთქვა დახმარება, მიხეილმა კი უიმედოდ ჩაიქნია ხელი და უთხრა, თქვენ პირველი არა ხართ, ასეთ დაპირებას რომ მაძლევთო.

მალე დამთავრდა დასვენების ვადა, და მეგობრები ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ა. ლაბახუა საქართველოში დაბრუნდა, მ. წივწივაძე კი — მოსკოვში.

ერთ ჩვეულებრივ სამუშაო დღეს ქუთაისის ბავშვთა პოლიკლინიკაში ტელეფონით დარეკეს, სამედიცინო და ევპრაქსი სამსონის ასული წივწივაძე იკითხეს. ამის შემდეგ გავიდა ცოტა ხანი და მაღალი უცნობი მამაკაცი ევპრაქსის მაგრად ართმევს ხელს და ეუბნება:

— მხურვალედ გილოცავთ უცნობი ძმის პოვნას!

— რომელი ძმისა?

— თქვენი ძმის მიხეილ სამსონის-ძე წივწივაძისა.

— მაპატიეთ, მაგრამ აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. ჩემი ძმა მიხეილი ხომ ჯერ კიდევ 1928 წელს დავასაფლავეთ.

მაგრამ უცნობი დარწმუნებული უცხადებს რომ მიხეილ სამსონის-ძე წივწივაძე მისი ძმაა და ცხოვრობს მოსკოვში.

მერე მიხეილის მისამართიც მისცა.

განცვიფრებული ევპრაქსი მაშინვე სახლში დაბრუნდა და უცნობთან შეხვედრის ამბავი უფროს დას მაროს უამბო.

მარომ კი კარგა ხანს იფიქრა და მერე სახეგაბრწყინებულმა წარმოთქვა:

[illegible] შეუწყო, რომ ამ საიდუმლოების ბურუსი გაფანტულიყო.

დებმა დაუყოვნებლივ აფრინეს წერილი მოსკოვში. მალე მოვიდა მიხეილის პასუხი, რომელშიც ვკითხულობს:

„მთელ ჩემს სიცოცხლეში ვოცნებობდი მეპოვნა ვინმე ახლობელი, ვნაღვლობდი უთვისტომობას, და ოცნება ამისრულდა: ვიპოვნე ორი და დისშვილი! მიხარია, რომ მე მყავს უახლოესი ადამიანები, რომელთათვის ჩემი ბედიღბალი სულ ერთი არ არის“...

...„ჩამოვდივარ ოთხშაბათს“ — იტყობინებოდა მიხეილი დეპეშით. დები მოუთმენლად ემზადებოდნენ უცნობ ძმასთან ამ ამაღელვებელი შეხვედრისათვის. მაგრამ გამოირკვა, რომ კავშირგაბმულობის მუშაკებს აურევიათ (როგორც ეს არც თუ იშვიათად ემართებათ მათ) დეპეშის ტექსტი და სიტყვა „ოთხის“ ნაცვლად „ოთხშაბათი“ დაუწერიათ. გამოვიდა ისე, რომ დებისათვის სრულიად მოულოდნელად მიხეილმა კარს მიაკაკუნა არა ოთხშაბათს, არამედ ორი დღით ადრე. და აი, ოთახში შევიდა მაღალი, მოხდენილი ვაჟკაცი და შემხვედრთ თავი გააცნო:

— მიხეილ სამსონის-ძე წივწივაძე!

ჩვენ არ შევეცდებით ძალა აღვწეროთ ეს მოულოდნელი, მაგრამ უსაზღვროდ სასიხარულო შეხვედრა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მღელვარების გამო ტიროდა ყველა...

მეტად საინტერესოა მიხეილ სამსონის-ძე წივწივაძის განვლილი ცხოვრება. მამამისი სამსონ წივწივაძე მეფის არმიაში ყოფნის დროს მოულოდ დაქორწინებულა და შესძენია ვაჟი. პირველი შვილის პატივსაცემად მისთვის მიხეილი დაურქმევია.

[illegible] ომის ფრონტზე [illegible] ერთ ხანს მიხეილი მამინაცვლის ოჯახში იზრდებოდა. მერე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც შეეცადნენ მისთვის გვარი გამოეცვლევინებინათ, მაგრამ რვა წლის ბიჭუნამ ამაყად უპასუხა.

— მე წივწივაძე ვარ და წივწივაძედ დავრჩები!

ძვირად დაუჯდა ბიჭუნას ჯიუტობა. მამინაცვლის სახლის დატოვება მოუხდა...

მღელვარებით იგონებს მიხეილი თავის უსიხარულო ბავშვობას, სამოქალაქო ომის წლებს, როცა იგი წითელგვარდიელთა აღალებს დაჰყვებოდა, მერე საბავშვო სახლის ცხოვრებას, სკოლაში სწავლას, სამხედრო სამსახურს, აკადემიას...



მ. წივწივაძე.

* * *

1927 წელს კომკავშირში მიიღეს, 1939 წლიდან კი კომუნისტური პარტიის წევრია. 25 წელზე მეტ ხანს დაჰყო საბჭოთა არმიის რიგებში. მამაცურად იბრძოდა სამამულო ომში ჯერ გერმანელი ფაშისტების, შემდეგ კი იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ახლა თადარიგის პოლკოვნიკი მიხეილ წივწივაძე მოსკოვის ერთ-ერთი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა და პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

მიხეილი სამი ვაჟის მამაა. უფროსი — მიშა — საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტია, მეორე — გოგი — მე-8 კლასში სწავლობს, უმცროსი — ალექსანდრე კი წელს შევიდა სკოლაში.

მიხეილ წივწივაძე არა მარტო თავისი დების, არამედ საერთოდ ქუთაისელთა ძვირფასი სტუმარი იქნება ყოველთვის.

**დ. ნოზაძე.**

---

## საერთაშორისო ცხოვრება
### დედამიწის ყველა ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით!

# მონოპოლიები ძარცვავენ აფრიკას

**ნიუ-იორკი,** 18 ოქტომბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის XVII სესიის კომიტეტები გუშინ განაგრძობდნენ მუშაობას.

ეკონომიურ და საფინანსო საკითხთა კომიტეტში ბოლივიის, პაკისტანის, ინდოეთის, სუდანის, ერაყის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს იმ იდეას, რომ

#### გენერალური ასამბლეის მე-17 სესიაზე

მოწვეულ იქნეს საერთაშორისო კონფერენცია ვაჭრობის საკითხებზე.

სსრ კავშირის დელეგატმა, გ. პ. არკადიევმა ინგლისისა და ჰოლანდიის წარმომადგენელთა გამოსვლებზე პასუხის გაცემის წესით აღნიშნა, რომ კოლონიურმა სახელმწიფოებმა ნაცვლად ლაპარაკისა — დახმარებას ვუწევთ სუსტად განვითარებულ ქვეყნებსო, — უმჯობესია დაუბრუნონ მათ მონოპოლიების მიერ ნაძარცვი სიმდიდრენი. საბჭოთა დელეგატმა მოიყვანა კონკრეტული მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ, თუ როგორ ძარცვავენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ჰოლანდიისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა მონოპოლიები აფრიკის ხალხებს. მაგალითად, ინგლისის 27 სამთომადნო კომპანიამ, რომლებიც დამკვიდრდნენ აფრიკაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 5-10-ჯერ გაადიდეს თავიანთი მოგებანი.



სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურის საკითხთა კომიტეტში მალის, ინგლისის, ისრაელის, ბულგარეთის, ბელგიის დელეგატებმა გაუზიარეს ერთმანეთს მოსაზრებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის შესახებ ისეთ საკითხებში, როგორიცაა განათლება, ადამიანის უფლებანი, მეცნიერება, განიარაღება, სოციალური და ეკონომიური დაგეგმვა. მეურვეობის საკითხთა კომიტეტი განაგრძობდა სამხრეთროდეზიელ პეტიციონერთა მოსმენას.

**ნიუ-იორკი,** 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილის სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტი კვლავ განიხილავდა თანამედროვეობის ყველაზე საჭირბოროტო საკითხს — ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტას. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მთელი მსოფლიოს ხალხები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მოელიან სასწრაფო ღონისძიებებს, რომლებიც ბოლოს მოუღებენ გამალებულ ატომურ შეიარაღებას.

პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამედ ალიმ მხარი დაუჭირა 8 ნეიტრალური სახელმწიფოს მემორანდუმს.

ატომური იარაღის გამოცდების აკრძალვა მოითხოვა ავღანეთის წარმომადგენელმა აბდულ რაჰმან პეჟვაკმაც.

მალის წარმომადგენელმა სორი ყულიბალიმ დასვა სამართლიანი კითხვა, თუ რატომ მოაგონებენ შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი მუდამ კომიტეტის წევრებს, რომ საშიშია ასეთი გამოცდები, და, მიუხედავად ამისა განაგრძობენ ამას. მალის დელეგაციის მიაჩნია, თქვა მან, რომ გენერალურმა ასამბლეამ დაუყოვნებლივ უნდა მოუწოდოს დიდ სახელმწიფოებს ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

## ანტიკუბურ გეგმებს მხარს არ უჭერენ

**ნიუ-იორკი,** 18 ოქტომბერი. (საკდესი). ინგლისს შესაძლებლად არ მიაჩნია მშვიდობიან დროს სრული ემბარგო დააწესონ კუბასთან ვაჭრობაზე, განაცხადა დიდი ბრიტანეთის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში დევიდ ორმსბი-ჰორმა.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ეს განცხადება, რომელიც მოწმობს, რომ შეერთებული შტატების ანტიკუბურ გეგმებს მისი უახლოესი მოკავშირენიც კი არ უჭერენ მხარს, ორმსბი-ჰორმა გააკეთა პრეს-კონფერენციაზე ფილადელფიაში, სადაც იგი ამჟამად იმყოფება ორი დღის ვიზიტად.

## გაფიცვები, პროტესტები

**ლონდონი.** ფირმის „ბრიტიშ ტედ ენჯინირინგ კომპანის“ სამი ათასმა მუშამ საუტჰოლში (ლონდონი), რომელიც ავტობუსებს უშვებს, გამოაცხადა გაფიცვა, მოითხოვს ხელფასის გადიდებას. მუშებმა გადაწყვიტეს კვირაში ერთი დღე გაიფიცონ მანამ, სანამ, მეწარმეები არ დააკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს.

ფირმის „ევერ რედი ბეტერი კომპანის“ ქარხნებში გაფიცვა გამოაცხადა დაახლოებით 1.600 მუშამ, რომლებიც აგრეთვე მოითხოვენ ხელფასის გადიდებას. დათხოვნების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მუშაობა შეწყვიტა 150 შემფუთავმა და მეცუჭნავემ ფირმის „რიჩარდსონს ფერტი ლაიზერსის“ (ბელფასტი) საწარმოებში.

**რომი.** მეხუთე კვირაა იტალიაში გრძელდება მეტალურგთა ბრძოლა ახალი კოლექტიური შრომითი შეთანხმების დადებისათვის. მილანოში განახლდა ყოველდღიური 4 საათის გაფიცვები კერძო მეტალურგიულ საწარმოებში.

10 დღის დაგვიანებით დაიწყო ახალი სასწავლო წელი იტალიის უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებელთა და სტუდენტთა გაერთიანებული გაფიცვის შედეგად. მასწავლებლები იბრძოდნენ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დამატებით ასიგნებათა გამოყოფისათვის, რომ უმაღლესი სასწავლებლები აღიჭურვოს საჭირო სახელმძღვანელოებითა და ლაბორატორიული მოწყობილობით. სტუდენტები მოითხოვდნენ სტიპენდიების დაწესებას, ყოველ შემთხვევაში, უღარესად გაჭირვებული მოსწავლეებისათვის.

გაფიცვა დამთავრდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც განათლების მინისტრმა გამოაცხადა, რომ თანახმაა დაიწყოს მოლაპარაკება უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლებისა და სტუდენტების წარმომადგენლებთან მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნების შესახებ.

## საწვრთნელად ამერიკაში

**სტამბოლი,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). შეერთებული შტატები ასწავლიან თურქეთის სამხედრო პერსონალს რაკეტული ტექნიკის ხმარებას.

როგორც პრესა იუწყება, თურქეთის ერთი რაკეტული დივიზიონის პირადმა შემადგენლობამ უკვე აწარმოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში „ნიკას“ ტიპის რაკეტების სროლა.

19 ოქტომბერს კიდევ ერთი ასეთი ქვეგანაყოფი მიემგზავრება ამავე მიზნით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

---

# ა. ა. გრომიკო შეხვდა ჯ. კენედის

**ვაშინგტონი,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ თეთრ სახლში გაიმართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის შეხვედრა, რომელიც 2 საათსა და 20 წუთს გაგრძელდა.

შეხვედრას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი და სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ფ. დობრინინი, ამერიკის მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დ. რასკი, სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანაშემწე ლ. ტომპსონი და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მ. ჰილენბრანდი.

შეხვედრის შემდეგ ა. ა. გრომიკომ კორესპონდენტებს განუცხადა: „პრეზიდენტმა და მე განვიხილეთ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხი. მიმაჩნია, რომ აზრთა გაზიარება ჩვენს შორის სასარგებლო იყო“.

# სამხედრო პარადი კონსტანცაში

**ბუქარესტი,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ქალაქ კონსტანცაში გაიმართა სამხედრო პარადი იმის აღსანიშნავად, რომ წარმატებით დამთავრდა სამხედრო წვრთნა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა გვარეობის ჯარების სამხედრო ქვეგანაყოფებმა.

ერთობლივმა წვრთნამ ცხადყო იმ არმიების ძალა, რომლებიც დგანან სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა მშვიდობიანი შრომის საგუშაგოზე. ამ წვრთნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეგანაყოფებისა და დიდი სამხედრო ნაწილების მომზადების დონის განუწყვეტელი ამაღლებისათვის, ხელი შეუწყო ხალხთა და არმიათა მეგობრობის, ძმური თანამშრომლობის განმტკიცებას.

# სსრ კავშირი წინ არის

### გამოდნობილია მეტი ფოლადი, ვიდრე შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი,** 18 ოქტომბერი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი გ. ფრიმენი იუწყება: მიმდინარე წლის მესამე კვარტალში საბჭოთა კავშირში წარმოებულია მეტი ფოლადი, ვიდრე შეერთებულ შტატებში. ამას მოწმობენ რკინისა და ფოლადის ინსტიტუტის მონაცემები, რომელთა მიხედვით ფოლადის გამოდნობამ ამერიკის შეერთებულ შტატებში მესამე კვარტალში შეადგინა 20.523 ათასი მოკლე ტონა, ანუ დაახლოებით 18.615 ათასი მეტრული ტონა. ამავე პერიოდში საბჭოთა კავშირში წარმოებულია 18.900 ათასი მეტრული ტონა ფოლადი.

ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირმა მესამე კვარტალში გაუსწრო შეერთებულ შტატებს ეკონომიკის ამ დიდმნიშვნელოვან დარგში, იმით აიხსნება, რომ საბჭოთა მეტალურგიული მრეწველობა გაიზარდა და შეერთებულ შტატებს არ შესწევთ უნარი გამოიყენონ მთელი თავიანთი სიმძლავრენი.

# კაშკაშა ჩირაღდანი

**სოფია,** 17 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა მუდამ დარჩება უდიდესი მნიშვნელობის დიდ ისტორიულ მოვლენად სკკპ და მოძმე კომუნისტური პარტიებისათვის, სოციალისტური ქვეყნების ხალხებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის, წერს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“. სკკპ პროგრამამ, რომელიც XXII ყრილობამ მიიღო, შეაიარაღა საბჭოთა კავშირის ლენინური კომუნისტური პარტია და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა მძლავრი იდეური იარაღით, კაშკაშა ჩირაღდნით გაანათა კომუნიზმის აშენების გზა. გასულმა წელმა, აღნიშნავს გაზეთი, ბრწყინვალედ დაადასტურა XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა სისწორე.

სკკპ XXII ყრილობამ, აღნიშნავს „რაბოტნიჩესკო დელო“, ნათელი პერსპექტივა დაუსახა ჩვენს პარტიასა და ჩვენს ხალხს. მისი ისტორიული გადაწყვეტილებანი საფუძვლად დაედო მთელ ჩვენს ყოველმხრივ თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას. შეიძლება პირდაპირ ითქვას, ხაზს უსვამს გაზეთი, რომ არ გვქონოდა ეს ნათელი პერსპექტივა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის მაგალითი და გამოცდილება, წარმატებით ვერ განვახორციელებდით ჩვენს გეგმებს.

# დიდი შთაბეჭდილება

**დელი,** 15 ოქტომბერი. (საკდესი). მალჰოტრამ, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო, როგორც წევრი ახლახან სამშობლოში დაბრუნებული ინდოელ პარლამენტართა დელეგაციისა, განაცხადა, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მიღწევებმაო.

მეცნიერული კვლევა სოფლის მეურნეობის დარგში შესანიშნავად არის დაყენებული და კარგ შედეგებს იძლევა, თქვა მან.

მალჰოტრამ, რომელიც წარსულში აგრონომი იყო, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბჭოთა მეცნიერების მუშაობას, რომლებსაც გამოჰყავთ მარცვლეულის კულტურების მრავალწლიანი და საადრეო ჯიშები. მან აღნიშნა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების რაციონალური განლაგება სსრ კავშირში და ხაზი გაუსვა იმას, რომ მსხვილი მეურნეობები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების ერთადერთი გზაა.

# პირადი ხელისუფლების წინააღმდეგ

**პარიზი,** 18 ოქტომბერი. (საკდესი). გამალებით მიმდინარეობს კამპანია რეფერენდუმისათვის მოსამზადებლად, რომელიც საფრანგეთში დანიშნულია 28 ოქტომბრისათვის.

დღეს პარიზში გაიმართა სენის დეპარტამენტის გენერალური საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ყველა პოლიტიკური პარტიისა და ჯგუფის გენერალური მრჩევლები, გარდა მმართველი პარტიის „ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირისა“. სხდომის მონაწილენი დარბაზში გამოცხადდნენ ჯილდოებითა და სამფეროვანი შარფებით — სახალხო წარმომადგენლობის ტრადიციული სიმბოლოებით.

ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც დეპარტამენტის გენერალური საბჭო ილაშქრებს ხელისუფალთა თვითნებობისა და მათი იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ თავს მოახვიონ ფრანგ ხალხს კონსტიტუციის რევიზია და გააძლიერონ პირადი ხელისუფლების რეჟიმი.

რესპუბლიკის აყვავებისათვის რეზოლუციის ავტორები მოუწოდებენ ხალხს 28 ოქტომბერს წინ აღუდგნენ დიქტატურასა და ავანტიურას.

## სამოქალაქო დარბაზობა დელიში

**დელი,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). დელიში გაიმართა სამოქალაქო დარბაზობა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის გეორგე გეორგიუ-დეჟის პატივსაცემად, რომელიც მეგობრობის ვიზიტად იმყოფება ინდოეთში.

შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა გეორგე გეორგიუ-დეჟმა. მან ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკამ ეკონომიკის განვითარებაში უკანასკნელი 17 წლის მანძილზე.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს რუმინეთის დახმარებას ინდოეთის ნავთობის მრეწველობის განვითარებაში.

# ამერიკის კოსმოსური ხომალდი მთვარისაკენ გაუშვეს

**ნიუ-იორკი,** 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთვარისაკენ გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „რეინჯერ-5“. როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, კოსმოსური ხომალდი, რომლის წონა 342 კილოგრამია, კანავერალის კონცხიდან გაუშვეს რაკეტა „ატლას-აგენას“ საშუალებით 19 საათსა და 59 წუთზე მოსკოვის დროით. გეგმების თანახმად, კოსმოსურმა ხომალდმა მანძილი დედამიწიდან მთვარემდე უნდა გაიაროს 66-72 საათში. მან სურათები უნდა გადაუღოს მთვარეს ახლო მანძილიდან, ეს სურათები გადმოსცეს დედამიწაზე და მთვარის ზედაპირზე გადაისროლოს ხელსაწყოთა კომპლექტი. ვარაუდობენ, რომ ეს ხელსაწყოები იმოქმედებს იქ ერთი თვის განმავლობაში და დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს მთვარის შესახებ.

კოსმოსური ხომალდის „რეინჯერ-5“ გაშვება გადაიდო გუშინ საღამოს, როცა შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ფლორიდის სამხრეთ სანაპიროს უახლოვდებოდა ტროპიკული გრიგალი. მაშინ ამერიკელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ კოსმოსური ხომალდის გაშვების ახალი ცდა განხორციელდება შემდეგ თვეში მაინც. მაგრამ, რამდენადაც, ტროპიკულმა გრიგალმა შეცვალა მიმართულება, აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ გადაწყვიტა განხორციელებინა კოსმოსური ხომალდის გაშვება დღეს.

კოსმოსური ხომალდი „რეინჯერი“, რომელიც დღეს გაუშვეს მთვარისაკენ, სათვალავით მეხუთეა ამ ტიპის კოსმოსური ხომალდების სერიაში. ამ ტიპის პირველი ოთხი კოსმოსური ხომალდის გაშვება წარუმატებელი იყო. მალე გაშვების შემდეგ აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „რეინჯერ-5“ „როგორც ჩანს, სწორი კურსით მიდის“.

# სრული მარცხი

**ნიუ-იორკი,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ მთვარისაკენ გაშვებული ამერიკის კოსმოსური ხომალდი „რეინჯერ-5“ „ვერ შეასრულებს გაშვების ვერც ერთ ამოცანას“ იმის გამო, რომ მწყობრიდან გამოვიდა ხომალდში არსებული მზის ბატარეები, განაცხადა აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ. სამმართველომ აგრეთვე გამოაცხადა, რომ ცდა — გაესწორებინათ ხომალდის კურსი — წარუმატებლად დამთავრდა და რომ „რენჯერ-5“-მა მთვარეს გვერდი აუარა დაახლოებით 500 კილომეტრზე და, როგორც ჩანს მზის გარშემო ორბიტაზე გავა.

კოსმოსურ ხომალდს უნდა გადაეღო მთვარის ფოტოსურათები ახლო მანძილიდან, გადმოეცა ისინი დედამიწაზე და მიეტანა მთვარის ზედაპირზე ხელსაწყოთა კომპლექტი.

# ტელეგრაფი გვატყობინებს

□ **ჰავანის** უნივერსიტეტში გაიხსნა ახალი სამედიცინო ფაკულტეტი. ამასთან დაკავშირებით გამართულ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ. ამჟამად, თქვა მან, კუბაში 38 ათასი საავადმყოფო საწოლია, მაშინ როცა რევოლუციამდე მხოლოდ 9 ათასი იყო. წელს ჯანმრთელობის დაცვის მიზნებისათვის ასიგნებულია 103 მილიონი პესო ნაცვლად 21 მილიონისა რევოლუციამდელ 1958 წელს.

დაწყებულ სასწავლო წელს, ხაზი გაუსვა კასტრომ, ფაკულტეტზე იმეცადინებს 800 სტუდენტი — კიდევ 240 სტუდენტი მედიკი დაიწყებს მეცადინეობას ქალაქ სანტიაგო-დე-კუბაში ორიენტეს პროვინციის უნივერსიტეტში. მომავალ წელს კუბის სამედიცინო სასწავლებლებში მიიღებენ 1.250 კაცს, ხოლო 1964-1965 სასწავლო წელს — 2.500 კაცს.

ფიდელ კასტრომ გამოაქვეყნა კუბის რევოლუციური მთავრობის გადაწყვეტილება — გაიგზავნოს 50 მოხალისე ექიმი სახალხო დემოკრატიულ ალჟირის რესპუბლიკაში სამედიცინო დახმარების გასაწევად მოძმე ალჟირელი ხალხისათვის.

□ **გაზეთი** „აზერბაიჯანი“ იუწყება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საუდის არაბეთს შორის მიღწეულია საიდუმლო შეთანხმება დაჰრანის მახლობლად მოქმედების საშუალო რადიუსის რაკეტების გასაშვები ბაზის მშენებლობის შესახებ.

□ **იემენის** პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ელ-ბეიდანიმ მოიწვია იემენის საქმიანი წრეების წარმომადგენლები, რომ უახლოეს ათ დღეში ჩავიდნენ სანაში თათბირზე გადაუდებელი ეკონომიური პრობლემების და, კერძოდ, იემენის ცენტრალური ბანკის შექმნის საკითხის განსახილველად.

## ვაშინგტონი იარაღს გზავნის სამხრეთ ვიეტნამში

**ნიუ-იორკი,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უახლესი მოდელების ვერტმფრენავები გაგზავნეს სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ რაკეტებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული სამი ახალი ვერტმფრენავი ამ დღეებში ცეცხლს უშენდა პარტიზანებს მთებში საიგონის ჩრდილო-დასავლეთით.

სააგენტო აღნიშნავს, რომ შეერთებულმა შტატებმა იკისრეს ვალდებულება გაგზავნონ სამხრეთ ვიეტნამში ომის საწარმოებლად დაახლოებით 140 სატრანსპორტო ვერტმფრენავი, რომელთაც ამერიკელი მფრინავები მართავენ.

## ატომური იარაღის მორიგი აფეთქება

**ნიუ-იორკი,** 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს შეერთებულმა შტატებმა განახორციელეს ატომური იარაღის კიდევ ერთი აფეთქება ატმოსფეროში კუნძულ ჯონსტონის რაიონში (წყნარი ოკეანე). როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ეს 30-ე გამოცხადებული აფეთქებაა გამოცდების ახლანდელი სერიიდან.

# რეაქციული კანონი

**ნიუ-იორკი,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ახალი კანონის შესაბამისად ამერიკის უნივერსიტეტების ხელმოკლე სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ მთავრობას და სთხოვონ — სესხი მოგვეციო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი პროგრესული შეხედულებისანი არ არიან.

უფრო მეტიც, კანონი ითვალისწინებს, რომ ყოველ სესხის მთხოვნელ სტუდენტს შეიძლება მიესაჯოს ხუთი წლის პატიმრობა, თუ აღმოჩნდება, რომ იგი რომელიმე „კომუნისტური ორგანიზაციის“ წევრია, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს მაკარენის კანონის შესაბამისად.

როგორც ცნობილია, მაკარენის კანონი მიმართულია არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, არამედ საერთოდ პროგრესული ორგანიზაციების წინააღმდეგაც.



აი როგორ იქმნება მოდა.
ჰერლუფ ბიდსტრუპის ნახატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელოვნება

# სპექტაკლი გახარებთ...

### „ბახტრიონი" სოხუმის თეატრში

[illegible]

მამკვიდრებელი პათოსი. ყველაზე უკეთ გამოვლინდა რომანტიკულად განცდილი ახალი მხატვრული სამყარო. მაღალმა პოეტურმა სიწმინდემ, გმირულმა შემართებამ პატრიოტულმა გზნებამ და კეთილშობილი, ძლიერი ადამიანის თემამ შთააგონა დ. გაჩეჩილაძე, „ბახტრიონს" რომ მოჰკიდა ხელი.

„ბახტრიონი" სოხუმის სცენაზე სერიოზული მოვლენაა ამ თეატრის ისტორიაში. იგი წარმოადგენს ახალი [illegible]

ახალგაზრდა რეჟისორის ლ. მირცხულავას „ბახტრიონი" მართლაც და პოეტურად განუცდია. ღრმად უგრძვნია თეთრი ლექსის იერით განფენილი სცენური მოქმედებისა და ხასიათების ურთიერთობის მთელი ლოგიკა.

პიესის არჩევა რეჟისორის მხატვრული გემოვნებისა და მისი მოქალაქეობრივი პოზიციის მაჩვენებელიც არის. სასიხარულოა, რომ ახალგაზრდა რეჟისორი სწორ შემოქმედებითს გზას ადგას.



სცენაზე ჩვენ ვხედავთ უშუალო, პოეტური სიწრფელით განცდილ გმირებს (ლელა — მ. მაღლაკელიძე, ანდარეზი — გ. ხურცილავა), ვხედავთ ამ გმირთა ლირიკულ მღელვარებას, პატრიოტულ გზნებას. რეჟისორს, მხატვარს (ს. რაზმაძე), კომპოზიტორსა (ა. ჩიმაკაძე) და წარმოდგენის მთელ დამდგმელ ჯგუფს სპექტაკლი დაუცავთ ეგზოტიკის ერთგვარი ცდუნებისაგან.

[illegible] იგი ქლერს მაღალ რეგისტრებში და შემდეგ თანდათან მიწყნარდება, მინელდება. მის ადგილს მ. მაღლაკელიძის ლელასა და გ. ხურცილავას ლირიკული, პოეტური შუქით განათებული სცენური ცხოვრება იჭერს, რომელსაც მძლავრ ემოციურ ფონს უქმნის უკვე სხვა ტონალობაში გამოვლენილი მუსიკა. ახალგაზრდა მსახიობები „თამაშობენ" გატაცებით, „თამაშობენ" გულწრფელად და ამიტომ გჯერათ მათი სიყვარული, თავგანწირვა. ყველაზე ძლიერი მაინც ციხის კარის გასაღებად წასულთა სცენებია. მიდიან საგმირო საქმეზე, მაგრამ რაღაც ადამიანური, უფრო სწორად ადამიანურად მომხიბვლელი შიშიც აქვთ. ისინი ხომ ძალზე ახალგაზრდები არიან, ახლა უნდათ სიცოცხლე და სიყვარული. და რაც უფრო ნათელია ეს ბუნებრივი განცდა, მით უფრო მეტი ფასი ედება მათს თავგანწირვასაც!

დაუვიწყარია ცეკვის სცენა. ეს უბრალო ცეკვა (ქორეოგრაფი — გ. ვაშაკიძე) როდია. ეს მართლაც მთელი პოემაა სიყვარულისა. მასში არის სინაზე და სიძლიერეც. არის ერთგვარი ვნება და შემართებაც. არის სხვა სცენებიც, ამ ახალგაზრდა მსახიობთა წარმატებაზე რომ მეტყველებენ, თუმცა სცენები კი არა, თვით სახეებია წარმატებით გაცოცხლებული...

სპექტაკლის დასაწყისიდანვე განიშნებათ, რომ გ. ნეფარიძის სახით სანათას კარგი შემსრულებელი ჰყავს. იგი ძლიერია პირველ სურათში და ბოლოშიც, სანთლებს რომ დაუნთებს დალუპულთ. საინტერესოდ აქვს მოფიქრებული და გადაწყვეტილი წიწოლას სახე ვ. ნინიძეს. მის წიწოლაში არის ერთგვარი თავგასული სიამაყე და ამგვარივე მორჩილება. მსახიობი ამ აქტიორული საშუალებებით (მორჩილებისა და სიამაყის კონტრასტი) ქმნის სახის ბუნების შინაგან კონტრასტს და ამით განსაზღვრავს კიდეც საერთოდ წიწოლას ხასიათის თავისებურებას.

სოხუმის თეატრის „ბახტრიონში" ბევრია ლირიკა. და ეს სავსებით სწორიც არის. რეჟისორი კარგად გრძნობს მონაწილე მსახიობთა ძალასა და უნარს, გრძნობს იმას თუ სად შეიძლება უკეთ გამოვლინდეს მათი ნიჭი. სხვა შემთხვევაში არ იყო გამორიცხული, რომ სპექტაკლს დაჩრდილავდა ერთგვარი რიტორიკული მანერა. ხოლო მაღალი პათოსი კი შეიძლება ძალიან ადვილად იქცეს სიყალბედ, თუ იგი დიდი აქტიორული ძალით არ იქნა შინაგანად გამართლებული. ამ თვალსაზრისით მხოლოდ ლ. ფილფანის მიერ შესრულებული სახეა გადასასინჯი. ნიჭიერმა მსახიობმა როგორმე უნდა შეძლოს, რომ ახალი მხატვრული ცხოვრება დაუმკვიდროს სოხუმის სცენაზე თავის გმირს. მეტი შესაძლებლობა აქვთ ლუხუმისა (ნ. გვალია) და ზეზვას (პ. წულაია), უთურგასა (ვ. შანშიაშვილი) და ვაზუზუას (ვ. სალაყაია) შემსრულებლებს. მათ მიერ შექმნილი სცენური სახეები ჩვენს კმაყოფილებას უპირველესად გულწრფელი შესრულებით იწვევენ. მსახიობები ცდილობენ რაც შეიძლება მეტად ორგანული იყვნენ წარმოდგენის ანსამბლში, რომ მეტი წვლილი შეიტანონ სპექტაკლის წარმატებაში. მაგრამ ყველაფერი ეს მაინც არ კმარა. ახლა საჭიროა ამ კარგ პროფესიულ ღირსებებთან ერთად მეტი სიღრმეც მისცენ თავიანთი გმირების სცენურ ცხოვრებას.

სპექტაკლი გვხიბლავს პლასტიკური, დახვეწილი და პოეტურად გააზრებული მიზანსცენების ფართო, ეპიკურ პლანში გამოხატვის უნარით. ეს კი მეტ განზოგადებას აძლევს წარმოდგენას და უკეთაც გამოხატავს იმ მაღალ პოეტურ სამყაროს, რომელშიც წარმოდგენის გმირები მოქმედებენ.

წარმოდგენა ახალია და ჩვენ გვჯერა, რომ ყველა მონაწილე — იქნება ის გ. რატიანი (ცისკარა) თუ ო. ტივაძე (ჯაბანა), ს. პაჭკორია (ნადირა) თუ ჯ. მონიავა (მგელიკა), ნ. მიქაშავიძე, ნ. მასხულია, ი. ოქროპირიძე, ი. რობაქიძე, ნ. ქართსანიძე და სხვები, ისევე დიდი სიყვარულით იზრუნებენ წარმოდგენის სრულყოფისათვის, როგორც სხვები, როგორც ამას აკეთებდნენ პრემიერის დღეებში...

წარმოდგენის მონაწილეებს და საერთოდ სოხუმის თეატრის მთელ კოლექტივს მუდამ უნდა ახსოვდეთ თავიანთი სპექტაკლის საფინალო სცენა; მხოლოდ თავგანწირული ბრძოლით, საქმის უსაზღვრო სიყვარულით, ერთგულებით, სულიერი და ფიზიკური ენერგიის დაძაბვით, წინააღმდეგობების ტკივილების გადალახვით იქნა მოპოვებული გამარჯვება. მაგრამ ბახტრიონის ციხის აღებით ხომ არ დამთავრებულა ყველაფერი! მათ კვლავ ელით ჭიდილი, შემართება, გამარჯვებისთვის თავდადება...

**ვ. კიკნაძე.**

სურათზე: სცენა სპექტაკლ „ბახტრიონიდან". ლელა — მ. მაღლაკელიძე, ანდარეზ — გ. ხურცილავა.

---

# პ. ბ. ბახტურიძე



ბარდაიცვალა ქართველი ლიტერატურათმცოდნე [illegible] ბესარიონის ძე ბახტურიძე. ქართველი [illegible] რიგებს [illegible] ჰიერო [illegible] მთარგმნ[illegible] მოღვაწ[illegible] და [illegible] ადამიან[illegible] წლის [illegible] თავდადე[illegible] ხურებოდა ქართული კულტურის განვითარების დიდ საქმეს.

პეტრე ბახტურიძე დაიბადა 1900 წელს ხელოსნის ოჯახში. წერა-კითხვა შინ შეასწავლეს და რვა წლისა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მიაბარეს. 1919 წელს მან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე. მატერიალური ხელმოკლეობის გამო იგი იძულებული იყო ერთი წლის შემდეგ სწავლისათვის თავი მიენებებინა, ოჯახში დაბრუნებულიყო და ხელი მოეკიდა თვითგანვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე ახალგაზრდა პეტრე ბახტურიძე იწყებს აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1928-31 წლებში იგი გურიისა და ქუთაისის სკოლებში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. იმავე დროს ეწეოდა სამწერლო მუშაობას, წერდა კრიტიკულ წერილებს და თარგმნიდა რუს მწერალთა ნაწარმოებებს.

1933 წელს პეტრე ბახტურიძე ხელმძღვანელობს საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ორგანოს გაზეთ „სიტყვა და საქმეს", ხოლო 1934-35 წლების განმავლობაში სათავეში ედგა მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებას.

1940 წელს პეტრე ბახტურიძე ამთავრებს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტს. 1932 წელს მუშაობას იწყებს „ინდუსტრიული ქუთაისის" რედაქციაში პასუხისმგებელ მდივნად, შემდეგ გადმოდის თბილისში. 1944-1950 წლებში იგი იყო გაზეთ „კომუნისტის" [illegible]

პეტრე ბახტურიძე გამოირჩეოდა იშვიათი შრომისმოყვარეობით, სამსახურში დაუღალავ შრომას იგი ჩინებულად ათავსებდა შემოქმედებით მუშაობასთან. ყოველდღიურ გაზეთებში, ჟურნალებსა და კრებულებში ხშირად იბეჭდებოდა მისი კრიტიკული წერილები და თეატრალური რეცენზიები, რომლებიც ყურადღებას იქცევდნენ საგნის ღრმა ცოდნით და პრინციპულობით. მის კალამს ეკუთვნის საინტერესო სტატიები ა. პუშკინის, ბესიკის, აკ. წერეთლის, ა. ყაზბეგის, დ. კლდიაშვილის, ვ. მაიაკოვსკის, გ. ტაბიძის, ლ. ქიაჩელის, ტ. ტაბიძის, ა. მირცხულავას, კ. კალაძის, დ. თომაშვილის და სხვათა შემოქმედებაზე. მას თარგმნილი და გამოქვეყნებული აქვს ა. ჩეხოვის, მ. შოლოხოვის, თ. გლადკოვის, ვ. ვასილევსკაიას, ი. ერენბურგის, ნ. ტიხონოვის და სხვათა მხატვრული პროზის ნიმუშები. ეს თარგმანები მკითხველის ყურადღებას იქცევენ დედანთან შესატყვისობით და დახვეწილი ქართული ხატოვანი ენით.

1959 წელს გამოვიდა პ. ბახტურიძის წიგნი „კრიტიკული წერილები", რომელშიც ავტორი ქართული საბჭოთა ლიტერატურის არაერთ მნიშვნელოვან საკითხს აღძრავს და განიხილავს.

პეტრე ბახტურიძე გულთბილი და გულისხმიერი ადამიანი იყო. ყველგან, სადაც იგი მუშაობდა, ამხანაგებისა და მეგობრების გულწრფელი სიყვარულით სარგებლობდა. პეტრე ბახტურიძის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მადლიერი მკითხველის გულში.

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.**

---

# სოფელი გეძახის

### მოთხრობა

**ს**ოფლის თავში, ბებერი მუხის ძირში წვივსიმსხოდ გადმოდის ყინულივით ცივი წყარო. მართალია, სოფლის ყველა ეზოში მოჩხრიალებს ფშებიდან გამოყვანილი სუფთა წყალი, მაგრამ მუხის წყაროსავით ცივი არ არის. ამიტომ, როცა მაგრად ჩამოცხება, აქაურები კოკებით ცივი წყლისათვის წყაროზე მიდიან.

პაპანაქება სიცხეში აქაურები მუხის ფესვებზე ჩამოსხდებიან და მუხლს ამ უზარმაზარი ხის ჩრდილში შეასვენებენ ხოლმე. თუ სიო ოდნავ მაინც ქრის მუხის ფოთლები ისე საამურად შრიალებენ, რომ სიცხით ვაოგნებულ ადამიანებს ნანასავით ესალბუნება.

მუხის წყაროზე ამ ბოლო ხანს თითქმის ყოველდღე დაინახავთ პაპა ზაქარას. ხის ჩრდილ ქვეშ ჩაფიქრებული და სევდიანი თვალებით გაჰყურებს გზას... თბილისიდან მომავალ ყველა თანასოფლელს ეკითხება თავისი შვილიშვილის გიოს ამბავს... მაგრამ როცა ეტყვიან, არა, არ შემხვედრია, არ მინახავსო, გულზე დარდი შემოაწვება, ორივე ხელით ყავარჯენს დაეყრდნობა და წამოდგება, გაჰყვება შარაგზას, შემდეგ ღვინიანთ ხევისაკენ ჩაუხვევს, თავქვეს ჩაათავებს და ცოტა ხნით ჩიტას ვენახის ბოლოზე მიწაში ნახევრად ჩაფლულ ლოდზე შეასვენებს მუხლს... შემდეგ ისევ ადგება და გზას განაგრძობს. მდინარის გაღმა გავა, ორღობეს შეუყვება და თავის ვენახში ფრთხილად შეაღებს მაწნულისაგან დაწნულ კარს... შავი და თეთრი წარბების სიღრმიდან თვალს მიავლმოავლებს გულაბებსა და ყარყარა ვაშლებს, მწიფე ატმებსა და ლორქლიავებს. მარნის წინ კაკლის ქვეშ დაბმულ ძაღლს ჯიბიდან ამოღებულ პურს მიუგდებს და ღობის ძირზე დაქნილ ბილიკს გაუყვება. ვენახს შემოუვლის. შეათვალიერებს ვაზებს. მტევანზე შემხმარ კიმილს შეაფშვნეტს და ისევ მარნის წინ მივა. ჩამოჯდება სამფეხა სკამზე და ძაღლს მიუბრუნდება:

— ჭრელავ, შენც მოგეწყინა მარტოობა?..

ძაღლი ფეხებთან ჩაუწვება მოხუცს. პაჭიჭებს აულოკავს — და კუდის ქიცინით რბილ ბალახზე გადაკოტრიალ-გადმოკოტრიალდება...

მოხუცი კი ისევ ფიქრს მიეცემა...

მოხუცის სადარდელი შვილიშვილი გიო-ბიჭია. ზაქარიამ შვილიშვილს სწორედ ამ ერთი კვირის წინ გაუგზავნა წერილი „დაბრუნდი შენს სოფელშიო".

— „დახე ერთი შენ სიჯიუტეს, — სწერდა მოხუცი, — ისწავლე, კაცი გამოხველ და ახლა სოფელში წამოსვლა გეთაკილება! ჰაი დედასა, რომ მიწის ვემო არ ესმის ზოგიერთ ჭკელს. განა ეს საქმეა!.. მთავრობამ ხარჯი გასწია შენს სწავლაზე, კაცად გაქცია და ახლა სოფელი აღარ გინდა? ვითომ აქ საქმე ცოტაა.. სოფელს ამხელა. ველ-მინდორი, ბაღი და ვენახი აქვს, ვითომ შენთვის სამუშაო ადგილი არ მოიძებნება? აი, შე პირშავო გიო. მამაპაპური კერა გინდა გააციო; ორიოდე წლის სიცოცხლე-ღა დამრჩენია, მერე ვინ იქნება ოჯახში, — ვინ აანთებს ბუხარში ცეცხლს! ვიდრე სწავლაში იყავი — ცოლის მოყვანაზე არ ფიქრობდი, ახლა ხომ დაასრულე სწავლა! რატომ არ მოხვალ? მოხუც პაპაშენს ენატრები, ბიჭო, სოფელი გეძახის, მინდორ-ველი, ბაღვენახი გიხმობს, შე გულცივო. ვის დაემგვანე სიჯიუტეში. აკი მპირდებოდი, მალე გინახულებო. პატიოსანი კაცი სიტყვას როდი გასტეხს. გული კი მატკინე, ბიჭო, ეს ტიალი გული.. ყველას შვილი და შვილიშვილი დაბრუნდა, შენ რაღა დავემართა. თავს რად მჭრი, სოფელში უსახელოდ არ გვიცხოვრია, ახლა კი გასაკილად და საჭორაოდ გინდა აქციო მამაშენის პატიოსანი სახელი? იმისათვის მოკვდა ომში, რომ მის ნაფუძარს თავი მიანებო?.. არა, ბიჭო, არა! ვერ მიატოვებ





შენს მშობლიურ კერას, ამის უფლება როდი გაქვს..

გული მიგრძნობს, რომ დამიბრუნდები... სხვათა შვილები ერთიმეორეს ეჯიბრებიან შრომაში, შენ რაო, მათზე ნაკლები ხარ?.. ტანი გაქვს, თვალი თუ ჭკუა... აუცილებლად უნდა მოხედო მამაპაპურ კერას. შენს მოძმეებს მხარში უნდა ამოუდგე.. მთელ სოფელთან ერთად უნდა აშენოთ ახალი ცხოვრება".

ფიქრის გორგალი არ დაელია მოხუცს. ისევ გიოს უხმობს, ეძახის...

დაღლილ ზაქარას ძილი მოუნდა. მარნიდან ჰილობი გამოიტანა. კაკლის ქვეშ გაშალა და წამოწვა.

მზე თრიალეთის ლურჯი ტყეებით აქოჩრილ მთებს გაღმა გადაეშვა... მოსაღამოვდა.. ფრინველთა ჭიკჭიკი მისწყდა. მხოლოდ ორღობის ქვიაზე მორაკრაკე ნაკადულის ჩხრიალი-ღა ისმის... მოხუცი ძილ-ღვიძილშია. თითქოს თავისთავს ებრძვის, უნდა დაიძინოს, მაგრამ თითქოს ძაღლის ყეფა არ აძინებს. ბურანში ეჩვენება, რომ ფეხზე წამოდგა. დინჯად გაიხედგამოიხედა, მაგრამ არავინ ჩანდა. ძაღლი კი ყეფას განაგრძობდა.

ანაზდეულად კარის ჭრიალი შესმა. აი, გაიღო კიდეც. ვენახში გიო შემოვიდა.. მოხუცს ეგონა, მეჩვენებაო. თვალებზე ხელი გადაისვა. კარგად დააკვირდა. გიო უღიმოდა პაპას... ის იყო, სწორედ ის...

მოხუცმა გულში ჩაიკრა შვილიშვილი...

— აკი მიგრძნობდა გული, — ჩაილაპარაკა მოხუცმა და სიხარულით ცრემლი ლოყაზე დაუგორდა...

— სამუდამოდ დავბრუნდი, პაპავ, სამუდამოდ: აი დიპლომი. მე უკვე მეღვინე ვარ და აქვე — კავთისხევის ყურძნის გადასამუშავებელ ქარხანაში ვიმუშავებ.

გახარებულმა მოხუცმა დაუმატა:

— ცოლსაც ხომ შეირთავ, შვილო, ხომ დაოჯახდები?

გიომ გაიცინა. კართან მიირბინა და ვიღაცას გადასძახა:

— ნატო, შემოდი, პაპაჩემი აქ არის.

მალე მოხუცის წინ მოხდენილი ტანისა და ლამაზი სახის ახალგაზრდა ქალი დადგა.

— პაპავ, მე უკვე მყავს მეუღლე, აი, გაიცანი. მე მეღვინე ვარ, ეს კი — აგრონომი. მე ქარხანაში ვიმუშავებ, ეს — კოლმეურნეობაში.

რძალი მოხუცს მოეხვია... ზაქარიამაც გულში ჩაიკრა ნატო. მოხუცმა დიდი სიხარულის გამო ეს-ღა ჩაილაპარაკა:

— ხუთი წლის სიცოცხლე შემმატეთ, შვილებო, თქვენი ნახვით.

შემდეგ მარანში შევიდა და ხელადით ღვინო გამოიტანა. თიხის ჯამი „თავკვერის" ლალისფერი წვენით აავსო და შვილიშვილი და რძალი დალოცა: „იბედნიერეთ, გაიხარეთ, მომავალი თქვენია".

ცამ დაიგრუხუნა. სადღაც მეხი დაეცა. მალე მხაპუნა წვიმა წამოვიდა. კაკლის ტოტებში ჩამოატანა. მოხუცს სახე დაუნამა წვიმამ. მძინარეს გააჟრჟოლა. თვალი გაახილა. მოხუცი მიხვდა, რომ ყველაფერი სიზმარი იყო... ცხადად ნაფიქრის გამეორება, მოჩვენება.

ზაქარა აღარ გრძნობდა წვიმას, რომელიც თეთრ სპეტაკ წვერს უნამავდა... დიდხანს იდგა ასე გარინდებული.. შემდეგ კი აზრი მოიკრიბა, გამოერკვა, მარნის კარი შეაღო. სანთელი აანთო. ტყეში ელვა ჰკვეთდა მგლისფერ ღრუბლებს.

„მაინც დამიბრუნდები" — გულში სჯეროდა მოხუცს და მისი თვალები ჭაღარა წარბების სიღრმიდან ჰკვეთდა ღამის წყვდიადს.

**შალვა შაველაშვილი.**

• • •

მხატვარი კ. მახარაძე.

---

## მაკლურა კიბოს დამღუპველია

**თურქმენი** ბოტანიკოსები დაინტერესდნენ რესპუბლიკაში გავრცელებული უშნო ხით, რომელსაც მუქმწვანე ფოთლები აქვს. ამ ხეს ნარინჯისფერ მაკლურას უწოდებენ. შემოდგომის დამლევს ხეზე ჩნდება ფორთოხლისმაგვარი ნაყოფები, რომლებშიც თესლია. წინასწარმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ მაკლურას ნაყოფები შეიცავენ ნივთიერებებს, რომლებიც დამღუპველად მოქმედებენ კიბოს უჯრედებზე. ახლა მეცნიერები აწარმოებენ მაკლურის ნაყოფების გამოკვლევას, რათა მიიღონ მათგან ახალი სამკურნალო პრეპარატი. (საქდესი).

## მახე ქურდი ფუტკრის დასაჭერად

**ფუტკარი** ჩემპიონია ყნოსვის მხრივ. იგი ადამიანთან შედარებით ათასჯერ უფრო ძლიერ აღიქვამს და განასხვავებს სუნს. თაფლის მომპოვებელი კილომეტრზე მეტი მანძილიდან გრძნობს ყვავილთა სურნელებას და მათ შორის შეუცდომლად ირჩევს ნექტარის საუკეთესო მქონეთ.

მაგრამ ისეც ხდება, რომ ფუტკარი თავის უბადლო თვისებებს „ბოროტი" საქმეებისთვისაც იყენებს: თაფლს პარავს მეზობლებს. სამძიმო მდგომარეობაში ვარდებიან მაშინ ახლო-მახლო ფუტკრის ოჯახები. „უცხოელები" მედგრად უტევენ სკებს, მიაქვთ თაფლი.

მოსკოველმა ენთუზიასტმა მეფუტკრემ ა. ს. ვასილიევმა შექმნა საინტერესო მახე ქურდი ფუტკრების დასაჭერად. მახის კონსტრუირების დროს ავტორმა გაითვალისწინა ფუტკრის ზნე-ჩვეულება, მისი ინსტინქტი. საქმე ის არის, რომ უცხო სკაში ფუტკარი ცდილობს შეძვრეს დამხმარე ხვრელიდან (მასპინძლის საფრენს კი ისინი უკვე უკანასკნელ მომენტში უტევენ). მახე პატარა კოლოფს წარმოადგენს, რომელიც მოსწავლის პენალს მოგვაგონებს. წინა მხარეს მახეს მინა აქვს, გვერდებზე კი — ნახვრეტები.

მახეს კიდებენ სკაში, საფრენის მახლობლად. როცა დაუპატიჟებელი სტუმრები თაფლის სუნზე საფუტკრეს მოაგნებენ, სწრაფად პოულობენ ნახვრეტებს მახეში და შიგ ებმებიან. გამოსასვლელი კი არა აქვთ. მათ არ შეუძლიათ მონახონ შიგნიდან დაგმანული ნახვრეტები და უმწეოდ ეხეთქებიან მინას, მანამ არ გაათავისუფლებენ.

ორიგინალური მახე ექსპონირებულია სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მეფუტკრეობის პავილიონში. პავილიონის დირექტორმა ვ. ფ. კოსტოგლოდოვმა გაგვაცნო საინტერესო დეტალი. ერთხელ მახეში რომ გაებმება, ფუტკარი უკვე აღარ იპარავს თაფლს სხვის სკებში. (საქდესი).

მეცნიერება და ტექნიკა

---

# დიდი მოგებები

☐ **სოფელ** ქვენატკოცაში მცხოვრებმა პ. ხაჭაპურაძემ ქარელის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაცია სერია 024469 ნომერი 21, რომელსაც 89 ტირაჟში ხვდა მოგება 5.000 მანეთი.

**ა. ცინაძე.**

☐ **ამ დღეებში** საჩხერის შემნახველ სალაროში რაიონის მცხოვრებლებმა ვ. მღებროვმა, ნ. ქავთარაძემ, ჟ. ყაზაროვმა და რ. შათაშვილმა წარადგინეს საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1962 წლის მესამე გამოშვების ლატარიის ბილეთები 09376-058; 12910-250, 10947-099, 10666-172, რომლებსაც წილად ხვდათ მოგება: რადიოლები „ესტონეთი-2", ტელევიზორი „რეკორდი" და მაცივარი.

**ა. ანასაშვილი.**

---

# მოკლედ

**ს**აქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა პროფესიული ტექნიკური განათლების მთავარმა სამმართველომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ბაზაზე ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევში გახსნა სოფლის პროფესიული ტექნიკური სასწავლებელი მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად. სასწავლებელში მისაღები კონტინგენტი განსაზღვრულია 400 კაცის რაოდენობით. 1963 წლის პირველი იანვრიდან აქ მიიღებენ მოსწავლეთა პირველ პარტიას.

სასწავლებელს უკვე გადაეცა საჭირო ნაგებობანი და 160 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ამჟამად მიმდინარეობს გადაცემულ შენობათა რემონტი.

**ვ. მელაძე.**

**კ**არგი საჩუქარი მიიღეს სოფელ გომის მშრომელებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავისათვის. გომის სოფლის კოოპერატივის გამგეობამ გომში ახალი რკინა-კავეულის მაღაზია გახსნა.

---

# იმაღლებენ ცოდნას

**ახმეტა.** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა ახმეტის მეორე საშუალო სკოლაში გახსნა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. მუშაობს სამი ჯგუფი: დაწყებითი სკოლის გამგეების, მუსიკისა და ხატვის. სულ კურსებზე ჩაბმულია 69 კაცი. ლექციებს კითხულობენ ძირითადად თბილისიდან მოწვეული ლექტორები. კურსების მუშაობა ორ თვეს გასტანს. მასწავლებლები მეცადინეობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ კვირაში სამჯერ.

**ირ. ქიბროწაშვილი.**

---

# ფრანგი სპეციალისტი აღტაცებულია

**„საბჭოთა** სოფლის მეურნეობის მიღწევებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. სსრ კავშირში გატარებული პირველი ათი დღე ჩემთვის გულმოდგინე დაკვირვებისა და ფართოდ გაცნობის დღეები იყო. ამ დღეებმა მომცეს მდიდარი და ყოველმხრივი მასალა ჩემი მომავალი წიგნისათვის „სოციალისტური სოფლის მეურნეობის შესახებ", — განაცხადა პარიზელმა პროფესორმა რენე დიუმონმა, რომელიც თბილისში იმყოფება.

სოფლის მეურნეობის დარგის ეს თვალსაჩინო ფრანგი სპეციალისტი საბჭოთა ქვეყანაში ჩამოვიდა „სსრ კავშირ-საფრანგეთის" საზოგადოების მოწვევით. მისი მოგზაურობის მიზანია, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, — „ობიექტური ადამიანის თვალით შეხედოს საბჭოთა სოფლის მეურნეობას, შეისწავლოს მისი თანამედროვე მდგომარეობა და ზრდის პერსპექტივები.

ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოსვლამდე ბ-ნი რენე დიუმონი გაეცნო საბჭოთა მოლდავეთს. საქართველოში იგი ეწვია მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, შეხვდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს".

ფრანგმა მეცნიერმა თავისი შთაბეჭდილებანი გაუზიარა საქდესის კორესპონდენტს. მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირში ნახა დიდი პროგრესი სოფლის მეურნეობის დარგში, მოსახლეობის და, კერძოდ, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების ცხოვრების მაღალი დონე. თქვენს ქვეყანაში მოგზაურობისათვის, თქვა მან, მე საფუძვლიანად მოვემზადე: ერთხელ კიდევ გადავიკითხე უამრავი ლიტერატურა, ვესაუბრე ჩემს თანამემამულეებს, რომლებიც სსრ კავშირში იყვნენ. ამრიგად შემექმნა გარკვეული წარმოდგენა სოფლის მეურნეობის საბჭოთა სისტემის შესახებ. მაგრამ გაცილებით მეტი ვნახე.

რა თქმა უნდა, აღნიშნა რენე დიუმონმა, ინდუსტრიის დარგში საბჭოთა კავშირს აქვს დიდი, მე ვიტყოდი კოლოსალური მიღწევები. ეს დღეს მთელმა მსოფლიომ იცის. მსოფლიოს მეურნეობის დარგში, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მანძილზე, აგრეთვე მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი.

ბ-ნმა რენე დიუმონმა განაცხადა: „კონტაქტებს, საქმიან ურთიერთობას უდიდესი სარგებლობა მოაქვს. ყველაზე დიდი ბოროტება ის არის, რომ ჩვენ ცუდად ვიცნობთ ერთმანეთს. ჩემთვის ტრადიციად გადაიქცა რეგულარული მოგზაურობა მსოფლიოს ქვეყნებში. უკანასკნელ ხანს მე უკვე ვიყავი სახალხო ჩინეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, კუბაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში.

სსრ კავშირში მოგზაურობა ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და საინტერესოა. საბჭოთა ადამიანები დიდი გულითადობით მხვდებოდნენ, საიდუმლოდ არ ხდიდნენ თავიანთ მიღწევებს. საბჭოთა ხალხი შემოქმედებითს შრომას ეწევა, მისი გონება და ენერგია ეძღვნება გრანდიოზული გეგმების განხორციელებას.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, როცა სამშობლოში დავბრუნდები, ვუამბო სიმართლე თქვენს ქვეყანაზე, თქვენს შესანიშნავ სტუმართმოყვარე ხალხზე, იმაზე, რომ საბჭოთა ადამიანები მშვიდობის საქმის ერთგული არიან".

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის გაცნობას პროფესორი რენე დიუმონი განაგრძობს საბჭოთა კავშირის შუა აზიის რესპუბლიკებში. (საქდესი).

---

## ფეხბურთი

# სიურპრიზი სტადიონზე

**სიახლემ** დინამოელთა თამაშში, ბრძოლის ტაქტიკის მრავალფეროვნებამ, კოლექტივის მონოლითურობამ და აქედან გამომდინარე კანონზომიერმა წარმატებებმა საერთო აღიარება ჰპოვა.

დიახ, კოტრიკაძის კარი ხშირად აუღებელი ხდებოდა, ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ თბილისელთა დაცვის ციხესიმაგრეზე და სავსებით სამართლიანადაც. მაგრამ აი ფინალის მეხუთე ტურში სიურპრიზს წავაწყდით, ისიც აუტსაიდერთან — ლენინგრადის „ზენიტთან" მატჩში.

რა მოხდა?

გუშინ შეჩერებულ იქნა თბილისელთა წინსვლა, გუნდმა დამარცხება განიცადა. თითქოს აქ საგანგაშო არაფერი უნდა იყოს, მაგრამ ხომ დამარცხებაც არის და დამარცხებაც — 0:5 პირდაპირ სიურპრიზია, გაუგებრობას იწვევს.

მართალია, დინამოელებმა კიევსა და დონეცკში გამართული ორი პასუხსაგები შეხვედრით მეტად რთული წინაღობები გადალახეს და შეიძლება ამან ერთგვარი გავლენა იქონია მათს ბრძოლისუნარიანობაზე, მაგრამ ასე ერთბაშად ფარხმალის დაყრა და დამარცხებასთან შერიგება ყოვლად მიუტევებელია.

დინამოელებს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ჰქონდათ თამაში წაგებული. მათ ხომ ორჯერ მისცეს საშუალება ბურჩალკინს აეღო კარი. მეკარე კოტრიკაძესა და მცველებს პირდაპირ ვერ იცნობდით.

გუნდის განწყობილება არც მეორე ტაიმში შეცვლილა, ნაცვლად კონტრთამაშისა, თბილისელები კიდევ უფრო მოეშვნენ, მოადუნეს ბრძოლა. ხრაპოვეცკიმ, ვასილიევმა და კვლავ ბურჩალკინმა დამატებით 3 ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში.

5:0 „ზენიტის" სასარგებლოდ — ასეთია ამ მატჩ-გამოცანის შედეგი. დინამოელებმა მათთვის მეტად საჭირო ორი ქულა დაკარგეს.

გუშინდელ მატჩში „დინამოს" შემადგენლობა ასეთი იყო: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ჩოხელი, ხელაძე, შეინკლიშვილი, მელაშვილი, გ. სიჭინავა, კალოევი, ბარქაია, მესხი (დათუნაშვილი).

## ორი მატჩი

**მოსკოვში** თამაშობდნენ დედაქალაქის „სპარტაკისა" და კიშინიოვის „მოლდოვას" კოლექტივები. მატჩის შედეგია 1:0 სპარტაკელთა სასარგებლოდ.

**დონის როსტოვში** ადგილობრივი არმიის სასპორტო კლუბის გუნდი შეხვდა ტაშკენტის „პახტაკორს". გაიმარჯვეს როსტოველებმა ანგარიშით 1:0.

რედაქტორი

**დ. მჭედლიშვილი.**

---

## კომენტარის გარეშე სპორტი

# „დინამოს" კორტებზე

**ტრადიციის** მიხედვით თითქმის ყოველი წლის შემოდგომაზე ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები თავს იყრიან თბილისში და აქ აწყობენ სხვადასხვა სახის შეხვედრებს.

მიმდინარე სეზონში ერთ-ერთ ასეთ შეჯიბრებას წარმოადგენდა საქართველოს სპორტკავშირის პრიზის გათამაშება ჩვენი რესპუბლიკისა და უნგრელ ჩოგბურთელთა მონაწილეობით.

ეს ასპარეზობა დამთავრდა გუშინ „დინამოს" კორტებზე. ვაჟთა ერთეულების ფინალში იბრძოდნენ ა. მეტრეველი და უნგრელი დ. ვადი. შეხვედრა მოიგო და პრიზი მოიპოვა მეტრეველმა.

ქალთა ერთეულების ასპარეზობაში როგორც მოსალოდნელი იყო გაიმარჯვა ი. ერმოლოვამ.

ვაჟთა წყვილებში ფინალის მონაწილენი იყვნენ მეტრეველ-მძინარიშვილისა და ვადკევედუშის წყვილები. გაიმარჯვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. შერეულ წყვილებში უძლიერესები იყვნენ ერმოლოვა-მეტრეველი.

---

# მეშახტე ი. პატარიძის სიმამაცე

### შემთხვევა

**ტყიბული.** (საქ. კორ.). ეს მოხდა № 8 მაღაზიაში. საღამოხანი იყო, როცა იქ ფეხსაცმლის დიდი პარტია მიიღეს. მაღაზიის გამგემ პ. ბასილაძემ, რომელიც საქმიანობით იყო გართული, მოკიდებული პაპიროსი თაროზე შემოდო. გავიდა ხანი, მას პაპიროსი მიავიწყდა. გვიან ღამით პ. ბასილაძემ მაღაზია დაკეტა და დასაძინებლად წავიდა. თურმე ნუ იტყვით, პაპიროსმა ცეცხლი გაუჩინა თაროს. ხანძარი თანდათან გაძლიერდა, იგი მოედო ფეხსაცმლის ყუთებს. ხანძარი შეამჩნია მეშახტე ი. პატარიძემ და ამის შესახებ სასწრაფოდ აცნობა გუშაგს. მათ გამოიძახეს სახანძრო რაზმი. გაჩაღდა ბრძოლა ხანძართან. ი. პატარიძე მეხანძრეებთან ერთად მედგრად იბრძოდა სტიქიის წინააღმდეგ. ადამიანებმა სძლიეს გამძვინვარებულ ხანძარს. გადარჩა საკმაოდ დიდი მატერიალური ფასეულობა, აგრეთვე სამი მაღაზიის და სასაუზმის შენობები, საცხოვრებელი ბინები.

---

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## რადიო

**21 ოქტომბერი**

**პირველი პროგრამით**

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.15 — გადაცემათა პროგრამა, 06.20 — დილის ვარჯიში, 06.40 — კონცერტი — „დილა მშვიდობისა", 07.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 08.15 — განცხადებები, 09.30 — პოპულარული სიმღერები, 09.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 09.10 — შოპენი. დიდი ფანტაზია პოლონურ თემებზე, 09.30 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.40 — სიმღერები ძმების ერქომაიშვილების შესრულებით, 09.50 — გაზეთ „ზარია ვოსტოკას" ფურცლებზე, 10.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 10.15 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის" საკვირაო გამოშვება, 10.45 — ფრაგმენტები ა. ხაჩატურიანის ბალეტ „გაიანედან", 11.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 11.30 რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი", 12.00 — უკანასკნელი ცნობები, 12.10 — მსოფლიოს ხალხთა სიმღერები, 13.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 13.15 — საკვირაო გადაცემათა პროგრამა, 13.20 — დ. კაბალევსკის სამი პრელუდი ფორტეპიანოსათვის, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — მუსიკალური გადაცემა — „იცით თუ არა?", 14.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 14.05 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „საიდუმლო ყუთი", 14.45 — გადაცემა — „პასუხი რადიომსმენელთა შეკითხვებზე", 15.00 — კონცერტი აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელთათვის, 15.40 — რადიოინსცენირება ა. სულაკაურის მოთხრობისა „მტრედები", 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.45 — განცხადებები, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — კონცერტი — „მრავალჟამიერი" — სუფრული და მაყრული სიმღერები, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის [illegible]

## ტელევიზია

**20 ოქტომბერი**

[illegible]

## კინო

[illegible]

## თეატრები

**20 ოქტომბერი**

რუსთაველის სახელობის — საშა, [illegible]

[illegible] კომკავშირელი — დონ-ჟუანი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — შვიდი ძმის შვიდი საცოლე, საქართველო (წითელი დარბაზი) — ჩაპლინის ფილმების პროგრამა, საქართველო (მწვანე დარბაზი) — მისტერ პიტკინი მტრის ზურგში, კოლხიდა (საზამთრო) [illegible]

[illegible] ქართული — განძთა კუნძული (აბონ. № 16, 4 ს., აბონ. № 18, 7 ს.), ფილარმონიის საზაფხულო — ლირიკული სიმღერების საღამო — რუბენა სიკორას შესრულებით, ცირკი — ახალი დიდი ატრაქციონი — ა. სოკოლი და დიდი საცირკო პროგრამა.

## ფილარმონია

**20 ოქტომბერი**

[illegible]

უე 04200

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.